



წელიწადი

სამოლიტიკო და სალიტერაცურო ყოველკვირეული გაზეთი

მეთერთმეტა

№ 32

კვირა, 7 დეკემბერი 1903 წ.

№ 32

გაზეთის ფასი: ქრისტის წლით ტუილიში 7 მან., ნახვარი წლით—3 მან. და 50 კპ.; ტუილის გარეთ ქრისტის წლით 8 მანეთი, ნახვარი წლით—4 მან., სამი თვით—2 მან., თოთ ნომერი 15 კპ.

ხელის მოწერა მიღება: ტუილისში—„წერა-კითხვის გამარტილებელ საზოგადოების“ კანცელარიაში და თვით „კვირის“ რედაქციაში: რუსის ბაზარში, საეკლესიო სახლში, იქვე, სადც ქ. ხელის სტამბაა.

რედაქციის კანტორა დია ყოველ დღე, დილის 10 საათიდან 2-მდე და სალიტერაციის 5 საათიდან 8-მდე. სარედაქციო საქმეებზე პირადი მოლაპარაკება ჟეიძლება ყოველ დღე, გარდა ორშაბათის და სამშაბათისა, შუადღის 12-დან 2 საათიმდე.

ფასი განცადებისა უკანასკნელ გვერდზე სტრიქნი თრი შატრი. ფოსტის დრესი: თიფლის, რედაქცია გაზეთი „**ქვალი**“.

**ზორანისი:** კერძო უთანხმოება, თუ ძირითადი? ყვირილელისა. — სხვადასხვა ამბები. — კორესპონდენციები. — რუსეთი. — თეატრის მატიანე, არ. რაფენინისა. — სიცრუე (ძველი კაცის ნამბობი), სპირილონ მცირი შვილისა. — ნაწყვეტები პლიტიკური ეკონომიდან, ა. წულუკიძისა. — განცხადებანი.

კერძო უთანხმოება, თუ ძირითადი?

(„წარსულზე“ კამათის გამო)

ჩვენ გვიყვარს, როდესაც ჩვენი ბურუუა ინტელიგენტები ერთხმათ აღაპარა კდებიან „კვალის“ წინააღმდეგ და აშენოთ დებიან — ეს მეტის-მეტია, ამის მოთხოვნა აღარ შეიძლება. როდესაც რომელიმე ჩვენი სიტყვები ასე მოხვდებათ გულში ჩვენს „დემოკრატებს“, ეს ჩვენთვის საუკეთესო მაჩვენებელია იმის, რომ მკაფიოთ და გარკვეულათ გამოგვითქვამს ნამდვილი ჩვენი შეხედულება, ისე მკაფიოთ და გარკვეულათ, რომ „თანხმობის“ მოტრტიალეთ დაუნახავთ თანხმობის შეუძლებლობა, „იდეიურ სიახლოვის“ მაძიებელთ — იდეიური უფსკრული ჩვენსა და მათ შეა.

ასეთი პირდაპირობა სჯობია „საერთო ნიადაგის“ ძებნას; და ჩვენ ვსარებლობთ იმ გაცხარებით, რომელიც გამოიწვია მოწინააღმდეგეთ შორის ჩვენმა სიტყვებმა წარსულის შესახებ, რომ გავარკვიოთ ამ აზრის მჭიდრო დამოკიდებულება საერთო ჩვენს შეხედულებასთან, და მით იძულებული გავხადოთ მოპირდაპირენი თვით აღარ პრინციპით უფსკრული ჩვენს შეა, რომლის დაფარვას და გადაფუქრებას ისენი ამ ბოლო დროს ასე ცდილობენ.

ისტორიულ მსელელობის მატერიალური ახსნა, — აი ის მოძღვრება, რომელმაც შესაძლებელი გახდა საზოგადოებრივ მოვლენათა მეცნიერული შესწავლა. კაცობრიობის წარსული ისტორია, რომელიც აუხსნელ, გაუგებარ პროცესათ ეჩვენებოდათ, გამოირკვა და შესაბები გახდა. იქ, სადაც შემთხვევებს გარდა არაფერს ხედავდენ, მატერიალისტურმა შეხედულებამ „რკინის კანონთა“ მოქმედება აღმოაჩინა; ის, რასაც აღმიანის სურვილებით ხსნდენ, ამ თეორიამ ისტორიულ აუცილებლობით ახსნა. საწარმოვთ ძალთა განვითარება, როგორც ძირითადი მიზეზი საზოგადოებრივ წყობილებათა ცვლილების, ეკონომიკური ურთიერთობა, როგორც საძირკველი მთელი სიზოგადო აზროვნობის, აი მთავარი მცნებები, რომელზედაც აგებულია მეცნიერული თეორია, ისტორიული მა-

ტერიალიზმათ ცნობილი, და რომელიც ჩვენს პრინციპიალურ სიმაგრეს წარმოადგენს.

და აი, ამ პრინციპებმა გაანათა წყვდიალი, რომლითაც მოცული იყო კაცობრიობის მთელი წარსული. თემში მცხოვრები მონაცირე, ბატონი და მონა, ყმა და ფეოდალი, ხელოსანი და მისი შაგირდი, კაპიტალისტი და მუშა, მთელი რიგი სხვადასხვა წყობილებათა, ურთიერთობა სხვადასხვა კლასთა შორის — ყველაფერი ეს დღეს გამოცანას არ წარმოადგენს ჩვენთვის, ჩვენ ვიცით, როგორ განჩდა, განვითარდა სხვადასხვა საზოგადოება, შეიცვალა ერთი წყობილება მეორით, ერთგვარი ურთიერთობა მეორე გვარით. და უფერ საფეხურს ბურობისას განვითარებისას, უფერ საზოგადო წყობილებას აქეს საკუთარი აზროვნება, და დაფლოგია, რომელიც ერთანთ წარმოადგენს ზენაშენს ქართველ ურთიერთობისას. მას კამთხატულებას და განმტკიცებას.

რომ ეს განყენებულათ გამოთქმული აზრები მკითხველისთვის ადვილათ გასაგები გავხადოთ, ჩვენ დავასურათებთ მათ მარტივი მაგალითით. აი პირველ-ყოფილი ადამიანი — მონაცირეთავის პირვანდელ საწარმოო იარაღებით — ქვით, ჯოხით, ან კესით. როგორ საზოგადოებრივ წყობილებაში ცხოვრობს ის, როგორ ეკონომიკურ ურთიერთობას იჭერს ის სხვა აღამიანებთან? როგორ აზროვნობს, რა იდეოლოგიას ქმნის, ე. ი. როგორ უყურებს თავის თავს, სხვა აღამიანებს, გარეშე ბუნებას?

დამონცებული ბუნების სტიკიურ ძალთაგან, რომელსაც თავის პირვანდელ იარაღებით ვერ იმორჩილებს, პირველ-ყოფილი ადამიანი უნდა უსათურო შეეკედლოს თავის მსგავსთა კრებულს, რომ შეერთებული ძალით მაინც დაიცვას სრულ განადგურებისაგან თავის არსება. ასეთ კრებულს ნათესავთ თემი წარმოადგენს. ამ თემში აღამიანის აღამიანისაგან დაჩვრა, ყვლეფა არ არსებობს, რადგან ყველა ერთანაირათ დაჩვრა-ლია ბუნებისაგან და თვითეული იმდენს შოულობს, რამდენიც მას თავის სარჩენათ აუცილებლათ ეჭირვება. და კიდევაც რომ იშოვთ შემთხვევით მეტი და მისაკუთროს, თემს არ გაუიროს, მოკლული ნადირი ტყუილა გაუფუჭდება, დიდხანს

ვერ შეინახება. ამნაირათ, პირვანდელმა ადამიანმა არ იცის კერძო საკუთრება, ეს უთანასწორობის ერთათ-ერთი წყარო. მისი პიროვნების შინაარსი—მისი თემი, სათემო ინტერესებია.

შეორებ მხრით, საწარმოო ძალთა მდგომარეობა ითხოვს სხვადასხვა თემის ერთმანეთისგან განცალკევებას. ქვით, ჯონით, ანკესით მონაცირე დიდ მანძილზე ცუტას შოულობს, ისე რომ თემები უნდა დაშორდენ ერთმანეთს, რომ საკარის სივრცის ტყეს დაეცემონ და თუ არ ეყოთ ეს სივრცე, უნდა ერთმანეთი იქიდან ძალით განდევნონ. იქედან წარმოდგება თემების ერთმანეთისაგან დაშორება, მტრული განწყობილება. რადგან სხვისი შრომის ნაყოფის მისაკუთრება ამ ხანაში შეუძლებელია, ამიტომ დატყვევებულ მტრების მონათ გადაჭუევის მაგივრით, პირვანდელი ადამიანი პირდაპირ სჭაბს მათ.

გარეშე ბუნებას ის ვერ იცნობს და ემონება, მოვლენათა შეუ დამკიდებულებას ვერ ამჩნევს, რაღან შემჩნევას დაკვირვება ეჭირვება, რისთვისაც პირვანდელ ადამიანს, მუდამ დღიურ არსებობისათვის მჩრუნველს, დრო აღარ რჩება. თემის ასეთი განცალკევებული, გაბოროტებული ცხოვრება ჰბადებს კონსერვატიზმს, აფერხებს განვითარებას და საუკუნოებით ერთ გონიეროვან წერტილზე ამაგრებს პირვანდელ ადამიანს, რომელიც მხოლოდ საკუთარ თემში ძველათ განმტკიცებულ ჩვეულებებით სარგებლობს.

როგორც დავინახეთ, თემის შინაგან და გარეგან საზოგადოებრივ განწყობილებას საწარმოო ძალთა მდგომარეობა განსაზღვრავს. ეს განწყობილება თავის მხრივ იწევს შესაფერ იდეოლოგიას. ისე რომ, თუ ჩვენ წინანდელ განყენებულით გამოთქმულ თეორიას გავიხსენებთ,—პირვანდელი სანაცირო იარაღები ჩვენს მაგალითში იქნება მიზეზი ეკონომიურ ურთიერთობის გაჩენისა, განცალკევებული ნათესავური კავშირი (თემი) თანასწორუფლოვან წევრებით—ეს ეკონომიური ურთიერთობა,—საძირკებული იდეოლოგიურ ზედნაშენისა, ხოლო პირვანდელი კომუნიზმი, კაცის მჭამლური ზეობა, გონიერი განუვითარებლობა და კონსერვატიზმი—იდეოლოგიური ზედნაშენი ამ ეპოქისა. ჩვენ ვხედავთ, რომ ეს იდეოლოგიური ზედნაშენი—ერთიანათ გამოვითიავს არსებულ ეკონომიურ განწყობილებას და მისი ღვიძლი შვილია.

პირველ ყოფილი საზოგადოება დაარღვია იმავ მიზეზმა, რა მიზეზმაც შექმნა, საწარმოო ძალთა განვითარებამ. ზედმეტათ გამრავლებულ ხალხს აღარ ჰყოფნიდა ის სარჩო, რომელსაც ას ნაღირობით შოვილობდა. გამრავლებული თემები აღარ ეტერდენ წინანდელ სივრცეზე. მრავალ საუკუნოების განმავლობაში ებრძოდენ ეს თემები ერთმანეთს ადგილების მისაუფლებლათ, მაგრამ ხალხის გამრავლების სტიქიური ძალა სულ უფრო და უფრო აგრძნობინებდა მათ საწარმოო იარაღთა გაუმჯობესების აუცილებლობას, აუტანელი შიმშილი სულ მატულობდა და მატულობდა. და ის შიმშილმა ნელნელა სძლია კონსერვატიზმს, აამუშავა ადამიანთა გონება და გამოანახვია ახალი წყარო სარჩოს შოვნის—მიწის დამუშავება და მწყემსობა. ამით იწევდა ახალი ხანა კაცობრიობის განვითარებაში. განაყოფიერებული შრომა შესაძლებლათ ხდის თემის გადიდებას და სხვისი შრომის ნაყოფის მისაკუთრებას. მეორებ მხრით შრომის გართულება, საზოგადოების გადიდება აუცილებლათ ხდის შრომის განაწილებას. ამგვარათ იწევდა საზოგადოებრივი უთანასწორობა. გაფართოვებული თემი ირჩევს შრომის მომწერლებელს, პატრიარქს, რომელიც, რასაკვირველია, თავის განსაკუთრებულ ძალას თავის სასარგებლოთ იხმარს, და საერთო ნაყოფის განაწილების დროს თავისთვის საუკეთესო ლუქმას იტოვებს. ამგვარათ იბადება ახალი საზოგადოებრივი განწყობილება და ახალი იდეოლოგია, ამ განწყობილების გამომსახველი. ჩნდება ორი მოპირდაპირ

ჯგუფი—გამყვლეფელი (პატრიარქი მისი მახლობლებით) და გაყვლეფილი (საზოგადოების დანარჩენი ნაწილი). პატრიარქლური საზოგადოება წინანდელ წყაბილებასთან შედარებულ წარმოადგენს წინ გადაფილ ნაბიჯს, რადგან შემცირებულ ნობისაგან და თემის ვიწრო, სულის შემხეთველ ფარგლისაგან პირვენება იწყებს ნელ-ნელა თავის განთავისუფლებას. შემდეგი საფეხური განვითარების არის მონური საზოგადოება, შემდეგ—ფეოდალური, შემდეგ ხელოსნური, შემდეგ—კაპიტალისტური. ყოველგან იგივ ძალა მოქმედობს—საწარმოო ძალთა განვითარება, რომელიც შეუჩერებელია, თან და თან უფრო მსწავლი და ჩარი, განსაკუთრებით, როდესაც (ხელოსნობის ხანიდან) მას განმავითარებელ ელემენტათ ხალხი გამრავლება კი არა, მეტოქეობა, კონკურენცია იქცევა. და ყოველ საფეხურს საწარმოო ძალა განვითარებისას შეეფერება საკუთარი ეკონომიური განწყობილება, საკუთარი იდეოლოგიური ზედნაშენი. იზრდება ადამიანის ძალა ბუნებაზე, მაგრამ მასთანავე იზრდება ადამიანის ადამიანისაგან დამოკიდებულება. და ეს დამოკიდებულება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს წარმოებისთვის, საზოგადოებისთვის. უმისოთ განვითარება შეწყდებოდა, საზოგადოება დაიშლებოდა. ჩნდება სხვადასხვა კლასები მოწინააღმდეგ ინტერესებით და მათი ბრძოლა იქცევა საწარმოო ძალების მოთხოვნილებათ გამომხატველათ. ქვედა კლასები ებრძვიან მჩავრელებს, მაგრამ არც ერთი მათგანი ჩაგვრის საბოლოო მოსპობას არ იღებს ჭიშნათ; თვითოეულ დაბაგრულ კლასს ან თვითონ უნდა ბატონობის თავისთვის მოპოვება, ან სურს მხოლოთ შეასუსტოს მჩავრელთა ბატონობის სისატიკე. საწარმოო ძალთა მდგომარეობა ითხოვს უთანასწორობას. მეობარი, შრომის მოწესრიგებელი, სათავეში უდგას საზოგადოებას, იცავს მას გარეგან მტრებისგან, განაგებს საერთო საქმეს და წარმოებას. გონებრივი განვითარება ამ საფეხურებზე მხოლოთ იმიტომ ხდება შესაძლებელი, რომ ექსპლოატატორების სხვისი შრომა თავისუფალ დროს აძლევს, გასავითარებლათ საჭიროს.

და ის, თვითოეულ ამ საფეხურს კაცობრიობის განვითარებისას აქვს რავისი იდეოლოგია, გამომხატველი მაშინდელ ეკონომიურ ურთიერთობისა, რომელიც ჩაგრა-ყვლეფაზე იყო აშენებული. და რაღან არც ერთ ხანაში არ იყო მატერიალური პირობები უმრავლესობის ჩაგრისაგან განთავისუფლებისთვის, ამიტომ არც ერთ არ ხანას არ შეუქმნია განმათავისუფლებული იდეოლოგია. საწარმოო ძალთა მოთხოვნილებას ემონებოდა ეკონომიური ურთიერთობა ადამიანთა შორის, ეკონომიურ ურთიერთობას—მთელი მაშინდელი აზროვნობა.

ასეთია მატერიალისტური შეხედულობა წარსულზე. და თუ მთელი აზროვნობა, საზოგადოების ყველა წარმოდგენები არსებულ ეკონომიურ ურთიერთობის ნიაღვზეა აღმონაცენი, მისი გამოხატულება და განმტკიცებაა, სიახლ წარსულში არ მოინახება არც ერთი აზრი, იღეა, რომელიც თანამდეროვე მოწინავე კლასით უარყოფილი არ იყოს. და მატერიალისტური შეხედულობა უარყოფს სრულათ ძველ აზროვნობას. ის ობიექტიურათ უყურებს წარსულ განვითარებას, როგორც აუცილებელ მიზეზთა აუცილებელ შედეგს. მან იცის, რომ მომავლში, იმავ მიზეზებს გამო სრულებით სხვა საფეხურების დადგება ადამიანთა ურთიერთობა, რომ თვით საწარმოო ძალთა განვითარება, რომელმაც წარსულში დამოკიდებულება, მონობა მოითხოვა, მომავლისთვის დამოუკიდებლობას, თავისუფლების იდეოლოგიას. თანამდეროვე ჩვენს ცხოვრებაში ის ამჩნევს ამ მომავლის ნერგებს და თავის მომხრეებისგან ითხოვს ახალი ცხოვრების თავ-განწირულ მსახურებას, ძველ ცხოვრებასთან თავ-განწირულ ბრძოლის. და თუ ძველი ცხოვრება

ჯერ არ გამქრალა და მისი ნაშთები დარჩენილია, ჩვენ უნდა შევიძულოთ ეს წარსულის ნაშთები მთელი ჩვენი ასესბით და უნდა შევებრძოლოთ მას. და როდესაც ჩვენ ვხედავთ თანა-მედროვე ცხოვრებაში შემაფერხებელ ნაშთებს წარსულისას, და ვამბობთ, გვეჯავრება ეს წარსული, ეს ჩვენი აზრი შეთანხმებულია საერთო ჩვენ შეხედულებასთან, აუცილე-ბელი დასკვნაა ჩვენ მთავარ პრინციპის. დიახ, მთელი წარსული, და არა რომელიმე მხარე, რადგან ჩვენი შეხე-დულობით წარსულის ყველა მხარე იყო მონობის გამო-ხატულება. მატერიალისტს მხოლოდ მაშინ შეუძლია დაშვი-დებით, ობიექტიურათ უყუროს წარსულს, თუ მან დაკარგა თავის ძალა, შემაფერხებელი გავლენა აწყობება. კაცის მჭამ-ლობა, პატრიარქალური ზე-ჩვეულებები—დიდი ხანია გაქრა, და ჩვენ შევიძლია აღვნიშნოთ ამ ზე ჩვეულებათა აუცილე-ბლობა წარსულში და შეუფერებლობა შემდეგი ხანისთვის. აქ სიძულვილს ადგილი არა აქვს, აქ მხოლოდ ისტორიული დაფასებაა საჭირო. მაგრამ ფეოდალურ წყობილებას, რომლის ძლიერი ნაშთები ჯერ კიდევ ხუთავს თანამედროვე ჩვენს ცხო-ვრებას, ჩვენ სხვანაირათ ვუყურებთ: ის მოსისხლე მტერია თანამედროვე განვითარების. და, თანხმათ ჩვენი საერთო შე-ხედულობისა, ჩვენ ვერ ვხედავთ მასში ვერც ერთ მხარეს, ვერც ერთ აზრს, რომელიც ბატონ ყმურ ურთიერთობის ნა-ყოფი არ იყოს. მართალია, ამ წარსულში იყო ბრძოლა „ბნე-ლსა და სპეტაკს შუა“, როგორც გვეუბნებიან, იყო განვითა-რება, წინმსვლელობა, მაგრამ ეს „სპეტაკი“, ეს პროგრესი მხოლოდ მაშინდელ დროისთვის იყო „სპეტაკი“ და პროგრესი, დღევანდელისთვის კი—უვან დახევაა, როგორც ბატონ ყმო-ბა პროგრესი იყო მონობასთან შედარებით, ხოლო დღევანდელ ცხოვრებისთვის კი უვან დახევას წარმოადგენს. სარწმუნოება, ეროვნობა — გვეუბნებიან. სარწმუნოებას დავეხსნებით; ხოლო ეროვნულ იდეაზე ვიტვით, რომ ეს იდეა კი არ არ-ლვევდა, ამტკიცებდა ბატონ-ყმობას, და პატარა ერის „სულის კვეთებას“ რეალურ მიზნათ ჰქონდა გარეშე მჩაგვრელების მო-შორება... შინაგან მჩაგვრელო სასარგებლოთ. მოღალატე ჩაითვლებოდა, სწორეთ ამ ეროვნულ პრინციპის ძალით, ის, ვინც იმ დროს თავის მარჯვენას შინაურ ბატონის წინააღ-დეგ მიმართავდა.

ჩვენ დავინახეთ, როგორ უყურებს მატერიალისტური მო-ძლვება წარსულს, კერძოთ ფეოდალურ დროს. მისი აზრით, ყველა ის საფეხურები, რომელიც კაცობრიობამ გაიარა, ისტო-რიულ აუცილებლობას; წარმოადგენდა, და ამ მხრით აწყობ-და მომავალი მჭიდროთ არის შეკავშირებული წარსულთან. მაგრამ ამასთანავე ყოველ შემდეგ საფეხურზე კაცობრიობა ქმნის ახალ ურთიერთობას, საზოგადოებრივ განწყობილებას, ახალ იდეოლოგიის, რომელიც წარმოადგენს წინანდელ ურთიერთო-ბის და იდეოლოგიის სრულ უარყოფას. როდესაც ორი იდეო-ლოგია, ძველი და ახალი, ერთმანეთს შეეჯახება, მათი შერი-გება შეუძლებელია, რადგან ისინი სულ სხვადასხვა პრინციპის გამოხატულებას წარმოადგენენ და თავიდან ბოლომდე ამ მო-წინააღმდეგ პრინციპებზე არიან აგებული. ახლა მეტოხელი დაინახავს, რა სასაცილო მდგომარეობაშია ჩვენი მოქამათე (იხ. „ცნ. ფ.“ № 2340, „შინ და გარეთ“), რომელსაც მო-ჰყავს ჩვენი ახსნა, წარსული იმიტომ გვეჯავრება, რომ ძირიან ფესვიანათ ბიტონ-ყმობაზე იყო აგებულიო, — და შემდეგ გვკი-თხავს, ეს ხომ გავიგეთ, მაგრამ ბატონ-ყმობას გარდა სხვა მხა-რეებიც იყო წარსულში და ის გვიპასუხეთ, ეს მხარეები რათ გვეჯავრებათო. გვიბრძანეთ ერთო, თუ ჩვენი შეხედულობა ისე-თია, რომ ბატონ-ყმურ საზოგადოებაში ცხოვრების კვლევა მხა-რე ბატონ-ყმურ ნიადაგზე აღმონაცენი, მაშინ ამ კითხვას რა-ლა მნიშვნელობა აქვს? დაგვიმტკიცეთ მატერიალისტურ შეხე-

დულობის სიყალბე, მაშინ დამტკიცდება ამ ჩვენი აზრის სი-ყალბეც. გაიგეთ, რომ ეს უკანასკნელი პირველის აუცილე-ბელი შედევრია, მისი ლოლიკური დასკვნაა. და ერთ მეტად შემდეგ რის უკიდურესი მოაზრენი“, რომლებიც ამავ მატერიალურ ცხოვრებულება არიან, ჩვენზე ნაკლების გაცხარებით იხსენიებენ დღეს „წარსულს“, ეს, გიმეორებთ, იმიტომ მხოლოდ, რომ ფეო-დალურ ცხოვრების პრინციპს იქ უკვე ძირი გამოთხრილი აქვს. თქვენ ცუდათ იცნობთ ამ უკიდურეს მოაზრეთ, თუ ფიქრობთ, რომ ისინი არ დაგვეთანხმებიან ფეოდალურ ხანის ურთიერთო-ბის და იდეოლოგიის მთლათ ბატონ-ყმურ პრინციპით ახსნაში.

რისკვირველია, ბ. განს შეუძლია შეხედულობას, რომელიც უარყოფს წარსულით შექმნილ ეროვნულ<sup>\*)</sup> პრინციპს. მიგრამ ტყუილა ნუ ფიქრობს, ამ შემთხვევაში „პოლონეთის დემოკრატიაში“ მომხრე იშო-ვოს. პოლონეთის მოწინავე დემოკრატია სულ სხვა ნიადაგზე დგას, ვიდრე ბ. განი. მისი „ეროვნობა“ იხატება მასში, რომ რუსეთის დემოკრატიასთან შეერთებას უარყოფს, რადგან მისი აზრით, მისმა ქვეყანამ ეკონომიურ განვითარებით რუსეთს გა-ასწრო და „გაერთიანება“ რუსეთის დემოკრატია უარყოფერ-ხებს პოლონეთის დემოკრატიასთან განვითარებას. რამდენათ მართალია პოლონეთის დემოკრატია, ამას არ ვეხებით, ხოლო ბ. განმა იცოდეს, რომ მან, ეკონომიურათ ჩამორჩენილ ქვე-ყნის შეიღმა, სწორეთ იმ არგუმენტების ძალით, რა არგუმენ-ტებით პოლონელნი „ეროვნულ დემოკრატიის“ აუცილებლო-ბას ამტკიცებენ, უარი უნდა თქვას ჩვენს „ეროვნულ“ დემო-კრატიაზე. ეს იცოდეს ბ. განმა და თავი დაანგაბოს პოლონეთის დემოკრატიის მოწმათ მოყვანას. ბ. განის ეროვნული იდეა, რომელიც, მისი სიტყვებით, არ ეწინააღმდეგება წარსულ ცხოვრებით შექმნილ ეროვნულ იდეას, სწორეთ ამით ძირიათ ეწინააღმდეგება დემოკრატიულ პრინციპს, რომელიც კლასთა ბრძოლაზე არის აგებული.

და ტყუილა გვიცხადებს ბ. განი იდეიურ თანაგრძნობას. რომ ის ჩვენს იდეებს არ იცნობს, ამას ამტკიცებს ის გარე-მოება, რომ მან ჩვენი აზრი წარსულზე ჩასთვალა „გატაცების“ ნაყოფათ და ვერ შეუთანხმა ჩვენს საერთო შეხედულებას. ხოლო რამდენათ ახლოა მისთვის ეს იდეები, ამას ამტკიცებს მისი აშოთოება „წარსული მეჯავრებას“ გამო.

ბ. განს ერთი გზა და დარჩენია „წარსულზე“ კამათის გა-საგრძნობათ. ის უნდა შეებრძოლოს თვით მატერიალისტურ შეხედულების. და ეს მით უფრო უსიამოვნო იქნება ბ. განის-თვის და მის თანამედროვებრივ ბურჟუა ინტელიგენტებისთვის, რომ მატერიალისტურ შეხედულობის მატარებელი კლასი წარ-მოადგენს ერის იმ ელემენტებს, რომელზედაც ისენი თურმე „მთელ თავის იმედებს“ ამყარებენ; ისე რომ ვაი თუ ერის „ამ ელემენტება“ არც კი ისურვოს მათ იდეალებზე ზრუნვა.

ჩვენ კი, ჩვენი მხრით, უნდა გამოვტყდეთ, რომ სრულე-ბით არ გვაწუხებს ბ. განის და მის თანამოაზრეთ ახეთი ტრა-გიკული მდგომარეობა. რაც მალე მოშორდებრივიან ხალხს ეს „ორ სკამს შუა მჯდომნი“ და „ორჭოფათ“ მოაზრე დემოკრა-ტები, — მით უკეთესი.

ყვირილები.

<sup>\*)</sup> ეროვნობის შესახებ «ცნ. ფურც.» გვეუბნება, თქვენ თვითონ ამ კითხვაში არ ხანია ორ სკამს შუა ზიხართო და ვერ გამოგირევევით თქვენი აზრი ეროვნობაზე. ეს წერილი უმისმოთაც გაგრძელდა და ამიტომ ამ კითხვას არ ვუბრუნდებით. მივუთითებთ «ცნ. ფ.» წინანდელ ჩვენს წერილებზე „მამული შეიღმა და ეროვნობა“ ეროვნობა თუ ხალხის სამსახურია? — და ვთხოვთ გვაჩვენოს, რომელი აზრია იქ არჭოფათ გამოთქმული?

## ს ხ ვ ე დ უ ს ხ ე ბ ი ა მ ბ ი ბ ი

რკინის გზების მართველობა შესდგომია პროექტების შემუშავებას, რომ ჭიათურის რკინის გზის ვიწრო ლიანდაგზე მატარებლები ელექტრონული ძალით ამოძრაოს. ამ მიზნით იკვლევენ მდინარეების ჩხერემის, ყვირილის და ძირულის მიმდინარეობის სისწრაფეს რომ მათი ძალით ამ საქმისათვის ისარგებლონ.

იუსტიციის სამინისტროში აღუძრავთ საკითხი შორეულ აღმოსავლეოში ტუვეები ხმელეთით გადიყვანონ.

შინაგან სექტემბრისამდე ხელახალი ცირკულიარებით მიმართა უკელა გუბერნატორებს და გრადონაჩალნიკებს, რომ აღიკრძალოს გადასახადი იმ სოფლელებზე, რომელთაც მოყავთ საქონელი და მიაქვთ თავიანთი სამეურნეო ნაწარმოები გასაყიდათ ქალაქებში და სოფლის იარმუკებზე. ეს კანონი შეეხება იმათ, ვისაც პაზრებზე საგანგებოთ არ აქვს დაქირავებული სავაჭრო ადგილები.

„კავკაზში“ დაპეტლინია ბათუმისათვის სავალდებულო დადგენილებანი, რომელიც შეეხებიან იარალის ხმარებას. ამ დადგენილებების ძალით იქ იკრძალულია იარალის ტარება და ვინც ამას არ შესრულებს, იმას აღმინისტროტიული წესით ან 500 მ. გადახდება, ან 3 თვით დაპატიმრებენ.

„ნოვ. ვრ.“ რედაქტორის ა. სუვორინისათვის ნება მიუკით გამოსცეს პეტერბურგში ახალი ორგანო „მალენკაია გაზეტა“.

ოდესის უნივერსიტეტის შეუძლებელ სტუდენტებისათვის იაფ-ფასიან სასადილოების გამმართველ კომიტეტებს უცნობებია ტფილისის ქალაქის თვითმართველობისათვის, რომ დადახმარება აღმოუჩინონ ზემორე დასახელებულ სასადილოებს, რადგან იმით კავკასიის სტუდენტობის უმეტესი ნაწილი სარგებლობს. აქაურ თვითმართველობის ხელმძღვანელობით უძრავი შეუთვლიათ ოდესელ ქველმმოქმედ კომიტეტისათვის.

გაზ. „ნოვოსტის“ გადმოცემით სოფ. ნიკოლაევის საზოგადოებაში ყრილობის შემდეგ ასამდე კაცი დამთვრალა, იერიში მიუტანიათ სახაზინო არყის სავაჭროზე და მიუწერ-მოუწერევიათ იგი. სტრაუნიკებს თოფები დაუშენიათ და ბევრი იმათგანი დაუჭრიათ.

იურიევის უნივერსიტეტის პროფესორებს განუზრახვთ დაარსონ ქალებისათვის ისტორიულ-ფილოლოგიური და იურიდიული კურსები და ამ მიზნით ოთხი მათგანი უკვე შესდგომია პროფესიის და სმეტის შედეგენას.

კიევის გაზეთის სიტყვით იქაურ უნივერსიტეტში შემდეგი განცხადება გამოუკრავს რექტორ ნ. ვ. ბოარიცეს: „საჭიროდ ვსოვლი გავაფრიხილო სტუდენტები, რომ უმაღლეს მთავრობის განკარგულებით უნივერსიტეტში უწესობათა მოსასპობათ მიღებულ იქნა ენერგიული ზომები და, თუ ვინიც მობარეობა გაიმართა, ყველა, ვინც კი ამ ყრილობას დაესწრება, რა მიზნითაც უნდა დაესწროს, აღიარებულ იქნება ყრილობის მონაწილეობით და მიეცემა სასტიკ პასუხის გებაში. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ უმეტესობა სტუდენტებისა წესიერების მომხრევა და სურს განაგრძოს მეცადინეობა; მივმართავ მათ კეთილგონიერებას და ვსხოვ, არამც და არამც არ დარჩენ იმ შენობაში, სადაც ყრილობა იქნება გამართუ-

ლი, თუ სურთ, რომ წესიერების დამარტვებული აღმარებულნი“.

თფილისის ქალაქის გამგეობისათვის უთარებისათვის ამნთვე მუშებს ჯამაგირების მომატება, თქმ. მაგრებულების მან. თვეში. გამგეობას დაუდევნია მხოლოდ 20 უფროს მუშისათვის სამ სამი მან. მოუმატებია.

## კორესპონდენცია

**შუთაისი.** „Б'єда კольшироги начнетъ печь сапожники“. ამ ანდაზით უნდა აღვნიუნოთ ქუთათურ ვაჭრების ძმ. გოკიელოვების მოქმედება ვაჭრობის ახალ, მათთვის შეუფერებელ, სარბიელზე გამოსვლა. ეს არის წრევანდელ სეზონი პარკის და ბაბბის ვაჭრობის საქმე. ამათ პარკის მოგებით წახალისებულებმა. ახლა ბაბბის წარმოებას მოკიდეს ხელი და მ. ლალიძის ლიმონათის ქარხანასთან გაიკეთეს ბაბბის საწმენი ქარხანა. ისინი „კოლხიდის“ და ი. ბეგოვის ჯინზე დაეხარბენ ბევრი საქონლის ყიდვას და დღეს თავს აღარ იზოგვენ ამ საქმეში. მარა მკითხველს რათ ინტერესებს მათი თავის, თუ ჯიბის დაზოგვა. ჩვენ მათზე ლაპარაკი იმისათვის ჩამოვაგდეთ, რომ ვაჭრობით გატაცებაში ისინი მშრომელი ხალხის ინტერესებსაც დაუზოგველათ ეპყრობიან და იმათ უბედურებაზე აშენებენ თავიანთ ბეღნიერებას.

ქუთაისში ხომ ამათ კისერზე ყველანი თავისებურ მალაყს გადადიან. აქ, რადგან საფაბრიკო ინსპექცია არ არსებობს და მაშასადამე არავინ მეთვალყურეობს შესრულებას იმ მცირე სავალდებულო კანონებისაც კი, რომელსაც „Фабричный законъ“-ები ეწოდება, ამიტომ ქარხნების და სახელოსნების მეპატრონები უზომოთ სარგებლობენ მუშების შრომით. აქ ჩვეულებრივ სარგებლობასთან ერთათ, ქუთათური აღები უბედურ შემთხვევათა ჩაფუქტებებისაც ზედ ურთავენ, რადგან უძალლო ქვეყანაში, ჯოხითაც იოლათ დადიან. ასეთი მოჟყრობის მაგალითი სხვებს რომ თავი დავანებოთ, იმ ერთ კვირაში ორი მოხდა გოკიელოვების ბაბბის ქარხანაში. ერთი ნოემბრის ოც რიცხვებში დაშვდა ბაბბის საპრესავ მანქანაზე მოხუცებული მუშა ოქროპირ შავგულიდე: პრესის დროს გასქდა ეს მანქანა და მოხვდა მას ორივე ხელებზე და დაასახირა მოხუცებული მსხვერპლი, რომელსაც დღესაც კაპეიკი არ მოულია მექარხნისაგან თუნდაც გამცდარი დღის დასექმით.

მეორე უარესათ საზარელი უბედური შემთხვევა მოხდა 28 ნოემბერს ბაბბის ფარდულში თვით ბაბბის სარჩევ მანქანაზე. აქ ვაჟებს გარდა, ქალიშვილებიც მუშაობენ, რასავირველია, ქალაქის ღარიბ მცხოვრებთა შეილები. ამათში მცირეწლოვანებიც ბევრია, რაც საფაბრიკო კანონის ძალის მექარხნისაგან თუნდაც გამცდარი დღის დასექმით.

მიუხედავათ ამისა 28 ნოემბერს მანქანის ტრიალის დროს 7 წლის ზინა იმედაბისათვის იქ მყოფ ნოქარს უთქვას, შეძვერი ჯინს ქვეშ და გამოხიკე კურკაში ჩაყრილი ბაბბით. პატარა ქალიც, რასავირველია, უფროსის ბრძანების ვერ გადასულა, შეძერალა ჯინს ქვეშ და დაუწყის ბაბბის ხიკვა. ამ დროს მანქანის ნაწილს გაუკრავს ხერხის ბასრივით კბილები ტანისამოსისათვის, გადუთრევით ბაბში შიგ შუაგულში და მოლაპარაკით დაუგლეჯია მარჯვენა მკლავი. მანქანა ტრიალებს და ბავშის წივილ-კივილი აწებებს ყველაფერს. თან წივილ-კივილი გააქვთ მანქანა მუშებს, მარა ვერას შველიან, რადგან მანქანა ვერ გააქერებს და ისე ბავშის იქიდან ამოგლეჯა შეეძლებელი იყო. მთელი ათი წუთი, თურმე, გაგძელდა ეს საზარელი სცენა და როდის-როდის შეატყობინებს ლიალიძის

მემანქნეს და იმან მაშინვე გააჩერა ორთქლის სამოძრავებელი  
და ამოიყვანა მკედარ-ცოცხალი გისისხლიანებული ბავში, რო-  
მელიც წაიყვანეს ს. თოფურიას სააგათმყოფოში დახმარების  
აღმოსახენათ. ქირურგის აზრით, ბავშს ხელი უნდა მოაჭრან  
და ამგვარათ უნდა გამოეთხოვოს თავის შრომით ცხოვრებას  
ეს ნორჩი მსხვერპლი ქუთათური ვაჭრის გაუმაძლრობა-დაუდევ-  
რობისა. არც თუ სხვა ამგვარ უბისდურებისაგან დაზღვეულნი არიან  
აქაურ ქარხნებში მომუშავე ქალიშვილები. ისინი დღიურ 11—  
12 საათის შრომაში 15 კაპ. დაწყებული 30 კაპ. მეტს ვერ  
იღებენ და ესეც ერთ შშვნიერ დღეს უნდა წამწარდეს მათ  
სიცოცხლის გამოსალმებით.

როგორც გადმოგვცეს მ. ლალიძეს რამდენჯერმე გაუ-  
ფთხილებია გამოუပდელი შექირნენ გოკიელოვი, რომ გამო-  
ცდილი ხელმძღვანელი-მამანქანე დაეყენებია ბამბის ჯინზე, მა-  
რა მას იაფათ საქმის წარმოება ნდომებია და უბრალო კაცე-  
ბითაც იოლათ ამუშავებს მანქანას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „სკანდალების“ მოყვარულ  
ქალაქში, წესიერების დამცველებს მოგახსენებენ, ჯერაც არ  
შეუდგენიათ ოქმი ამ უბედურებათა შესახებთ, თუმცა ხანჯლით  
მომხდარ უბედურებაზე, დამნაშავეს მაშინვე მიათრევენ ხოლმე  
„ყაჩასტოკს“-ში. ქუთასისში ხომ ამგვარი შემთხვევები სტატი-  
სტიკებათვისაც არ ინიშნებიან ქალალდზე, თორემ დამნაშავე-  
თა პასუხის მგებლობაზე ვინ ილებს ხმას...

**დ. სამთხვევია** (იმერეთი). სამტრედიელების შემოსავა-  
ლის ერთათ-ერთი წყარო სიმინდია. სიმინდის გარდა აქაურ-  
დამპალ და ნოტიო აღილებში სხვა არაფერი ხეირობს. სი-  
მინდით უნდა დააკმაყოფილოს აქაურმა გლეხმა: ღმერთი, ხე-  
ლმწიფე, მღვდელი, დიაკონი, მასწავლებელი, მტერი, მოყვა-  
რე და ცოლ-შვილი. მარა წელს გამუდმებულ წვიმებისა და  
ქარის წყალობით, ეს ერთათ-ერთი ცხოვრების საღსარიც მო-  
ესპონთ: შედარებით წარსულ წელთან, წელს მოსავალი ნახე-  
ვარი ძლიერ მოუვიდათ და მასაც მოუპატიუებელი სტუმარი პე-  
პელა ანადგურებს, რის გამო აქაურ მცხოვრებთა უმრავლე-  
სობა სახე დაღვრემილი დასტირის თავის ბედს და თანაც სა-  
სოწარკვეთილი უიმედუბით ამბობს: „ჭადის მეტი არაფერი  
გაგვაჩნდა საჭმელათ და ისიც მოგვესპო“—ო. მხოლოდ სხვისი  
ხელის შემყურე ვაჟაპონები-კი სხვანაირათ ხსნიან ამ სამწუ-  
ხარო მოვლენას, ისინი ამბობენ: „აპა რავა გვონია, ჩემო  
ძმაო, უნცროს-უფროსობა და ღმერთი, რომ დევიზიწყა ახლან-  
დელმა ახალგაზიებმა, სწორეთ იმიზა დევისაჯეთ ასე; აგი რაია,  
ამაზე უარესს უნდა მოველოდეთ კიდო, თუ არ გისწორდით  
უკეთელათ უამი გაჩნდება და ამოგვწყვეტს ყველასო“. ყველა  
ამნაირ სიტყვებს ჩასძახის ყურში საცოდავ გლეხებს, ყვე-  
ლა უბლვერის, ყველა იმის მარჯვენას უცქერის, არ-  
სად ერთი მანუგეშებელი და გამამხნეველი არ აღმო-  
ჩენია და რა თქმა უნდა ყველა ამის შემდეგ ეკონომიკურათ  
წელ მოწყვეტილი გლეხი დაძრწის აქეთ-იქით, არ იცის რა  
ქნას, რით გაუმკლავდეს ამდენ მოთხოვნილებას, რომელიც  
მას აწევს კისერზე, როდესაც თავის ცოლ-შვილის საკვები  
გაზაფხულამდის ძლიერ მიყვება, და დღე და ღამ იმის ფიქრ  
შია, რომ ქონდეს საღსარი სიმოვნებით გადაიხდის, მარა რომ  
არ აქვს? ამას წინეთ ერთმა გლეხმა, რომელიც ძლიერ და  
რიბია და მასთან ავათმყოფი, დაირჯა და შეეხვეწა. აღგი-  
ლობრივ მღვდელს, ნახევარი წლის ღრამა 1 მან. მაპატივე.

სამტრედიაში ოსებობს აბრეუმის საღებ-სახვევი ქარხანა ილინისა, რომელშიაც ამ ფაზათ 260-მდი ქალები მუშაობს. ამ ქარხანაში მომუშავე ქალების უმეტესი ნაწილი გურია-სამეგრელოდან არიან. რადგან ცხოვრება საგრძნობელათ გართულდა და გამწვავდა, ამისოენ არავითარ შრომას არ ერი

დება ხალხი ოლონდ პური „არსებისა“ მოიპოვოს. აი სწორეთ,  
ამისთვის გამხდარან იძულებული ეს ქალები, ორმ დაეტოვე  
ბიათ თავიანთი მშობლები, ნაცნობ-ნათესაობა ას მოსულებულებინ  
სამუშაოთ ილინის ქარხანაში, სადაც არაეითაპი, ჩარ-კორი არ  
არსებობს. აგრ წელიწადი და სამი თვეა, ჟაკ ას ქრისტე  
ში მუშაობა დაიწყეს, და ამ ხნის განმავლობაში თი-  
თქმის 30-მდის მომუშავე ქალი დაშავდა; ზოგს ხელი გაუ-  
ფუჭდა, ზოგს ფეხი და ზოგიც რაღაცნაირ ქარებით დაავათ-  
მყოფდა, და მათი არა თუ ქარხანაში აღებული ფული არ  
ყოფნით საწამლავათ, არამედ თავიანთ ღატაჟ მშობლების ნა-  
შრომ-ნაოფლარსაც ხარჯავენ, მარა მაინც დაკარგულ ჯან-  
ჩრთელობას ვერ იბრუნებენ უკან. ქარხნის ზედამხედველი ვი-  
თომ წამლით შემწეობას აძლევს ავათმყოფთ, მარა რა გამო-  
ვიდა საავათმყოფო არ აქვთ და გურია-სამეგრელოდან ხომ  
ქინაქინისთვის ვერ ივლის აღამიანი სამტრედიაში, ამიტომ ბა-  
ტონ ზედამხედველის ქველ-მოქმედებაც უმნიშვნელოა. ამას  
გარდა დიდ შევიწროებას ითხოვენ ამ ქარხანაში მომუშავე ქა-  
ლები თავიანთ უფროსებისაგან: ლინდვა-გინებას, ცემა-ტყე-  
პასი უსაფუძვლოთ დაჯარიმებას და კანონიერ დაწესებულ  
დროზე მეტ მუშაობას (დილის 7 საათიდან საღამოს 7 სა-  
ათამდის. ასევენებენ 2 საათის მაგიერ 1 საათს, მარტო სადი-  
ლობისას). ყველა ამ უსამართლობის მოთმინებით ამტანთ ქირა  
ეძლევათ დღეში 25—40 კაბეიკამდე. რასაკვირველია, ყველა-  
სათვის ცხადზე უცხადესია, რომ ასეთ მცირე ქირით ეს ქა-  
ლები ცხოვრების ათასგარ მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფი-  
ლებენ და ადრე თუ გვიან გარყვნილების წუმპეში ამოყოფენ-  
თავს. მარა ამისთვის არავინ არ იტკივებს თავს...

**ლოჩეუაი.** ოუ რომელიმე მხარეა ჩვენში ყოველ მხრით  
ჩამორჩენილი, პირველ ადგილს იმათში ლექსუმს ვერავინ ვერ  
წაართმევს. ჩამორჩენილია ის როგორც ეკონომიკათ, ისე გო-  
ნებრივათ, ზნებრივათ და სხვ. ამაში ბევრს რამეს მიუძღვის და-  
ნაშაული, მაგრამ ყველაზე უფრო ჩვენებურების კარჩაკეტილო-  
ბას, ძველის ტრფობას და ახლის შეუთვისებლობას. გლეხ-კაცო-  
ბა ისევ ძველებურათ ქედ-მოხრილია და დაუცხრომელ შრომაში  
ლევს თავის მრავალ-ტანჯულ დღეებს; თავად-აზნაურობა ძვე-  
ლებურ თოფ-ლეკურ-ხანჯლობის კიდევ ვერგაშორებია. მდიდ-  
რულათ ყავარზე კუდი გაუდვეს უაპირი სრულ გაქრობისაკენ  
აქვს. ოუ ხმა ამოიღე მათ წინააღმდეგ, მაშინვე ქვეყანას შე-  
ძრავენ, ქვეყნის დამტკეთ გამოგიყვანენ პოლიციის თვალში  
და ბოქაულს ლანძღავენ, ის ამისთანა კაცებს არ იქცერს  
და ციხეში არ აღპობს. რომ პოლიცია ყოველივე მათ ლაპა-  
რაკს ყურს არ უგდებს, თორებ განკითხვის დღი იქნებოდა.  
ამისთანა მდგომარეობაში, ცხადია, ლექსუმის საზოგადო საქ-  
მენები სრულ მივიწყებაშია და უკორაცხობობით მომდევა.

၁၀ မာဂုဏ်တော်, လျှို့ပြုမီး၊ ဒွေး-ပြုပြုလောက် နှင့် ဖျော်လျော်ချော် အား ဖြော်လျော်ချော် ပြုသူများ ဖြစ်ပါသည်။

၁၁ မာဂုဏ်တော်, လျှို့ပြုမီး၊ ဒွေး-ပြုပြုလောက် နှင့် ဖျော်လျော်ချော် ပြုသူများ ဖြစ်ပါသည်။

ლიკვენ, რომ სამკითხველოს საქმე გაგვეწესრიგბია, მაგრამ ვერავინ მოვიკარე და მარტო მე ძალიანაც რომ ვეცადო რა შემიძლიანო. შემომჩივლა სამკითხველოს გამგემ, ფრიად გულ-შემატკივარმა კაცმა ბ. მეავანაძემ. ეხლა კი მოზრდილი ბოჭლობმი აღევს კარებზე. ნუ თუ არ გაწითლდება ცოტათ თუ ბეჭრათ შესმენილი ცაგერელი, როდესაც ბამკითხველოს კარებზე ბოჭლობს დაინახავს!..

იმედია ამ ჩვენთვის მეტათ სასარგებლო საქმეს დერჩის  
საზოგადოება გულ-ცივათ არ შეხვდება და ამ ჩემს სიტყვებს  
უყურადღებოთ არ დასტოვებს... ეს ხუთი წელიწადი იქნება,  
რაც თხუთმეტი წლის თხოვნა-მუდარის შემდეგ გველირსა  
რიონზე ხიდი; ურომლისოთაც ნამეტნავათ შევიწროებული  
ვიყავით. ჩვენი გზების ინუნერებმა არ ინება, რომ ხიდი მაღლა  
აეწია, თუმცა წყალ-დიდობის დროს საშიშრო იყო და  
როგორც კი წყალმა მოიმატა, ხიდი ადგილს მოაშორა, და  
ამ გვარათ დიდს გაჭირებაში ვართ ჩავარდნილი თორმეტი  
სოფელი. ეს ინუნერი გახლავთ ქუთაისიდან ონამდის და იქი-  
თაკ მიმავალი, გზა-ტკილის მეთვალყურე.

ବ୍ୟାକ୍ ମତ୍ରାମାତ୍ରାନ୍ ପାତ୍ର

**საჩამოული.** მიმღინარე წლის 14 ნოემბერს მოხდა საზოგადო კრება ადგილობრივ წიგნთ-საცავ სამკითხველოს. კრებაზე დაქმუშრო 60 წევრიდან მხოლოთ 21, მგრამ რადგანაც კრება მეოთხეთ იყო დანიშნული, კრება კანონიერათ იქნა ცნობილი და შეუდგენ საქმეების განხილვის. წაიკითხეს წარსული საანგარიშო წლის ოქტომბერი. როგორც ამ ოქტომბერი სჩანს, წარსულ წელს წიგნთ-საცავ სამკითხველოს პქნია 208 მან. და 25 კ. შემოსავალი:—120 მან. საწევრო ფული და 106 მან. და 25 კპ. კერძო შემოწირულება; გასავალი კი—206 • მან. და 21 კპ. ასე რომ გასული საანგარიშო წლის შემოსავალი-დან კიდევ დარჩენია სამკითხველოს 1 მან. და 98 კპ. ბიბლიოტეკაში გარდა ეურნალ-გაზეთებისა აღმოჩნდარა 329 ქართული და 213—რუსული წიგნი, სულ 542 წიგ. კრებაზე გამოირკვა, რომ საწევრო ფული წასულ საანგარიშო წელს შემოუტანია მარტო 34 წევრს; ამიტომ კრებამ დაავალა გამგეობას, მოაგონოს ასეთ „გულ-ცივ“ წევრებს, მათი მოვალეობა და თუ ამ მოვანება თხოვნაზე ჩვეულებრივ „დუმილით“ გვიპასუხონ, მაშინ ამგვარები გამოვრიცხოთ წევრობის რიცხვიდანო. მართლა, ან კი რა საჭიროა ისეთი წევრნი, რომელნიც თავიანთ მოვალეობას ირ ასრულებდენ (საწევრო ფულიც არ შემოაქვთ)? შემდეგ კრება შეუდგა სამკითხველოს მატერიალურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ საშუალების მოპოვებას და გადაწყვიტა: წიგნაკებით კერძო პირებისაგან ფულის შეკრება; წარმოდგენების გამართვა ბიბლიოთეკის სასარ-

გებლოთ და წიგნის მაღაზიის დაარსება. უკანასკნელი პოსტ-  
რების განსახორციელებლათ კრებაშ მიმართა ერთ წევრთა-  
განს ბ. მ. კიკნაძეს და ოხოვა, რომ მან, კურუქვეშ სახლში მა-  
ვის სიხელზე წიგნის მაღაზიის გახსნის ნებაზეც და მეტად მა-  
ტანოს პირველი თანხა (20 თუმნამდე) საქმის საწარმოვო.  
სამკიონხველომ კი ეს შემოტანილი თანხა—პროცენტებით და-  
უბრუნოს რამდენიმე წლის შემდეგ ბ. მ. კიკნაძეს—და შე-  
მდეგ შემდეგ შემოსავალი—მაღაზიისა წიგნთ-საცავ სამკიო-  
ხველოს საკუთრებათ დარჩეს. ამ წინადაღებაზე ბ. კიკნაძე და-  
თანხმდა.

ბიბლიოთეკის გამგეობა, გარდა ერთი წევრისა, ისევ ძველი დარჩა შეუცვლელით. წიგნთ-საცავ სამკიონხველოს თვალყურის დევნება უსასყიდლოთ ითავა ისევ ქ-ნმა სირ—ჰ თაბუკაშვილმა, რომელსაც კრებამ ულრმესი მაღლობა გამოუცხადა უანგარო შრომისათვის.

## 6. საბადურელი

ରୂପାଳୀ

დედათა კურსები და ქალების დღესაცაული. — ხულიგნობა  
და ხულიგანები; ბრძოლა მსოფლიოს. — საგლეხო ბანკები  
ლათ გლეხის, სახრავათ სხვისი. — ჩინი და უფორმო. ინჟინერ-  
ტექნიკოლოგები.

ოცდა ხუთი წელიწადი შესრულდა, რაც უმაღლესი ქალ-თა კურსები დაარსდა რუსეთში. ოცდა ხუთი წელიწადია მას შემდეგ, რაც ქალმაც პირველით შეაღო მეცნიერების ტაძრის — უნივერსტეტის — კარები და დაიწყო უმაღლეს კურსების მოსმენა. აქედან იწყება ახალი ერთი რუსეთის ქალის აღორ-ძინების ისტორიისა, აქედან იწყება მისი ახალი ცხოვრება; აქედან იშლება მის წინ საზოგადო ასპარეზი, აქედან წყა-ბულობის ის საზოგადო მოღვაწეობას. აქედან ახწევს თავს ის კარჩაკეტილ ოჯახურ განწყობილებას და აქედან ტოპავს ისიც კაცოან ერთათ ცხოვრების ახალ მიმდინარეობაში, აქედან უმკლავდება ისიც ათასგვარ ზღუდეებს დაბრკოლებათა, აქე-დან უძალიანდება ისიც ათასგვარ ძალმომრეობას და უკანო-ნობას. და როცა თავის თვალით ხედავს, თავის გრძნობებით გრძნობს ადამიანის წმიდათა წმიდის, პიროვნების, გათელვას და ფეხვეშ გაგებას, ისიც ვერიცდის ამ დროს გულხელ დაკრუ-ფილი, ის ვერ ითმენს, ვერ იტანს თავის, თუ სხვის შეურაცყოფას და წინააღმდეგობას აცხადებს, უსამართლობა, წინ ელობება და იმარჯვებს კიდევ...

წინააღმდეგ რეაქციონერების და რეტროგრადების სუკვილებისა, რომ ქალი სუსტი ფიზიკურათ, სუსტია გონებრივათაც, ვერ შეითვისებს მეცნიერებას და ვერ შეძლებს მუშაობას,—რუსეთის ქალმა მოლოდინს გადააჭარბა. ის არა თუ ჩამორჩა კაცს მეცნიერების შეთვისებაში, შრომაში, მუყაითობაში, გარჯასა და მეცნიერობაში, ზოგიერთ შემთხვევებში კიდევ გაასწრო მას. ამ ოცდა-ხუთი წლის განმავლობაში რუსეთის ქალმა ისეთი ბიჯი გადასდგა წინ, რაც არ მოლანდებია რუსეთის კაცს არც ერთ საუკუნის განმავლობაში. რომელი საზოგადო მოლვაშემბის ასპარეზი გინდა, რომ იქ ქალსაც არ ქონდეს დღეს ადგილი. ლიტერატურა, ხელოვნება, მედიცინა, უურნალისტიკა, საქველმოქმედო საქმე, ბიბლიოთეკა, სამკითხველო, —ყველგან ქალმაც ამ ოცდა-ხუთი წლის განმავლობაში საპატიო ადგილი დაიჭირა. შიმშილობაა სოფელში, —ამას ყველაზე უწინ კურსისტკა ტყუბილობს და ეშურება ხალხის საშველათ. რომელიმე გადამდები სენი—ხოლორა, ცინგა, თუ სხვა რამე—მოედო სოფელს თუ ქალაქს და ინადგურებს, ისევ კურსისტკა, ისევ ქალი მირბის დასახმარებლათ. ხალხის ყოველ შეწუხებაზე, ხალხის ყოველ გაჭირებაზე ქალი პირველათ იღებს ხმას, ის პირველათ იტყობინებს

ქვეყანას: არიქა მიკეშველოთო. და თუ ქალსა და კაცში კი არის რამდენიმე განსხვავება, ეს ისევ ზეღმეტი თანაბორობაა, რომლითაც ქალი უხვათაა დაჯილდოვებული და რომელიც ხელს უწყობს მის მოღვაწეობას და ხალხისადმი სამსახურს.

ქალმა შეიგნო, მიხვდა, გაიგო, რომ ბელინსკის თქმისა არ იყოს, თუ „**Мужчинѣ позорно быть самцомъ на томъ основаніи, что онъ человѣкъ, а не животное, то и женщинѣ позорно быть самкой на томъ-же основаніи**“. დიახ, მან შეიგნო, რომ მარტო ცხოველურ ინსტიკტების დაკმაყოფილება მის მოვალეობას არ შეადგენს, არამედ ისიც აქტიურ მონაწილეობას უნდა ღებულობდეს ცხოვრების მსვლელობაში, მანაც თითომ თავის ხელით უნდა შეიტანოს თავის წვლილი კაცობრიობის საკეთილდღეოთ, მანც უნდა ხელი შეუწყოს იმ მოვლენის გაძლიერებას და გადიდებას, რასაც დღევანდელი მოძრაობა ეწოდება. და ისიც შეუდგა კიდეც კაი ხანია ამ დღებულ საერთო საქმეს.

და ის, დღეს ძველი დახავსებული აზრების უარყოფის იუბილე, ჭადების თანასუფლების დღესასწაულია. რეაქცია გლოვობს თავის სასტიკს დამარცხების, ქალი კი დღესასწაულობს თავის ბრწყინვალე გამარჯვების. და ჩვენც ვიდესასწაულოთ, მკითხველო, ეს ქალთა დღესასწაული — კურსების 25 წლის შესრულების დღე. კურსებმა გამოიყვანა რუსის ქალი საისტორიო გზაზე მომქმედ პირათ და ჩაიყენა კაცებთან ერთათ „**შეურაცყოფილთა და დამცირებულთა**“ ინტერესების დამცველ რაზმში.

კუსურვოთ მათ ამ გზაზედაც გაემარჯვებით!

\* \*

დღევანდელი, არსებული ხანა გარდამავალი ხანაა რუსთში. ხოლო ამ გვარ ხანის დამახასიათებელი თვისება არის უკიდურესობა და გამწვავება. ხალხის გაჭირებული მდგომარეობა უკიდურესობამდი ავიდა, საზოგადოებრივი ურთიერთობა მეტის-მეტათ გამწვავდა რაიცა, იწვევს ათასგარ სოციალურ ტკივილებს, რომელთა განკურნვა და მორჩენა შეუძლებელი ხდება. და ერთი ამგვარ ტკივილებთაგანი არის ამ უკანასკნელ დორს ხალიგანების გამრავლება, რომლებიც ათასგარ პირობოქმედებას იდენტ და რომლების წინააღმდეგ ვერას გამხდარიან.

წინათაც ამბობდენ, და ახლაც ბევრი იმ აზრისაა, რომ სამუშაოს კულტი იმუშავის, ვისაც კი პატიოსნური შორმით უნდა თავი ირჩინოს. და ისინი, ვინც არ მუშაობენ, ზარმაცებია, მათ არ უნდათ იმუშაონ, და ამისათვის ისინი უნდა კანონით დაისაჯონო. ასეთი მსჯელობა ყალბი იყო უწინაც და ყალბი და შემდარია დღესაც. მუშათა „**სათადარიგო ჯარი**“ იმისთვის კი არ ჩემია უსაქმთო, რომ არ უნდა იმუშაოს, არა მაგრა იმისთვის, რომ სამუშაოს შერ შთუდოს. არც ერთი ფაბრიკა, არც ერთი ქარხანა, არც ერთი სახელოსნო, არც ერთი სავაჭრო დაწესებულება სამუშაოს მაძიებელთ არ დაუტოვებით, რომ არ მისულიყვენ სამუშაოს საძენელათ, მაგრამ კულგან უარი უთხრეს: არ არის აღილიო. და ხულიგანების რაზმიც ამ უმუშევრათ დარჩენილებთაგან ივსება. ბოროტ-მოქმედთ, როცა ბოროტებას ჩადიან, კარგთ იციან, რომ ამისთვის მათ შეუბრში არაკოცებენ, თავზე ხელს არ მოუსვამენ. იციან, რომ დასჯიან, ციხეში ჩამწყვდევენ, კატორლაში გაზავნიან, მაგრამ მანც არ იშლიან თავისას, მანც ეცემიან ღამე კაცს და ცარცვავენ, კლავენ, ქურდავენ და ვინ იცის, კიდევ რას ჩადიან. როგორც უნდა უწამლო ამ სნეულებას? როგორ შეიძლება მისი აღმოფხვრა? რეაქციონერები სასტიკ ზომებს სთვლიან უებარ წამლათ ხულიგანობის მოსაპობლათ. კარგი, იყოს სასტიკი ზომები, თუ კი ბოროტება აღმოიფხვრება, მაგრამ

რამ ეს საშვალებაც რომ არაფერს შერქბა. სასტიკი ზომები საკმარისია რუსეთში და რამდენიც დრო მიღის კიდევ და კიდევ უფრო სასტიკი ხდებიან იგინი, მაგრამ ხულიგანების უფრო ასებობს; რამდენიც დრო მიღის კიდევ ტერიტორიული უფრო მრავლდება ხულიგანთა რიცხვი, კიდევ უფრო მეტ სისასტიკეს და მეტ ბოროტებას ჩადიან ისინი. სწავლა-განათლება, საკორაო სკოლები, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები? კიდევ ეს კულტურული დაწესებულებანი მეტ გავლენას იქონიებს ხულიგანობის შესამცირებლათ, მაგრამ ძირიათ, რასაკირველია, მანც ვერ სპობს მას. ქველმოქმედება? აბა დაუგდოთ უური პატარა ახმეტების პროცესს სასამართლოში, რას გვეუბნება იგი: შესამართლებული. ახმეტები, თქვენ ბრალი გედებათ იმაში, რომ 30 ივნისს მოგიპარავს გარმონი და 22 ენკინისოვეს — იუპა, ლორებული 1 მანეთათ. ორივე შემთხვევაში შენ დაგიჭირეს დანაშაულობის დროს. ახმეტები: ფეხი მტკიოდა და დამიჭირეს. ცალი ფეხი სავათმყოფოში მომჭრეს. მოსამართლე და დამსტრე საზოგადოება იცინის. მასასართლე: როგორც სპრავკებიდან ჩანს, შენ წინეთ ორჯელ მჯდარხარ ციხეში. ერთხელ მოგიპარავს ცარიელი ქისა, მეორეჯერ — დევლი ზარვალი. რატომ ქურდობ? ახმეტები: ოხ, ბატონო, საჭმელი არაფერი მქონდა. ლუქმა-პური მოვითხოვ, პოლიციელმა გამაგდო. ბოლოს იუპა მოგიპარე და გავყიდე. ზოსამართლე: სად არიან შენი მშობლები? ახმეტები არ იცის, სად არიან მისი მშობლები. და შეცვდით: ბ.ბ. მოსამართლენო და ნაფიცნო მსაჯულნო! მეტათ უხერხეულ მდგომარეობაში ვარ ჩაყენებული. თუ გთხოვთ ჩემი კლიენტის სრულიად გამართლება, ამით ცუდ სამსახურს გაუწევ მე მას. ის ისევ ქუჩაში გამოვა უსახლკარო, ულუკმა-პური. ციხეში კი ლუკმა პური მანც აქვს. მის გასამართლებას თან მოყვება სიცივე და შემშილი. პოლიციელი მას განდევნის იმ ადგილიდან, სადაც ის მოწყალების თხოვნას დაიწყებს. ერთი სიტყვით, ისე გადაწყვიტეთ, როგორც სინდისი გეუბნებოლებს. შესამართლე: ახმეტები, შენ რას იტყვი შენდა სასარგებელოთ? ახმეტები: უთხარი, ბატონო, ისევ ციხეში გამზავნონ ამ ზამთარში, და როცა ათვება, მაშინ კი გამომიშვან. საზოგადოება ისევ იცინის. ახმეტება გამამართლეს და ერთი თუმანიც ახუქეს. ახმეტების უხარის ფულები, მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილებამ კი მეტათ დააღმართა. ციხიდან მას ახლა გამოაგდებენ და მას კი არ უნდოდა ამ სიცივეში იქიდან გამოსვლა“.

ახმეტება ციხეში ორჯელ მჯდარა, გამოსვლა და კიდევ ქურდობს. ქურდობს იმისთვის, რომ ქამ უნდა. თუმანი ვერაფერს შველის. თუმანს შეჭამს და კიდევ ულუკმა-პუროთ დარჩება. კიდევ ქურდობა, კიდევ ციხე. ასე მიღის ახმეტების ცხოვრება. ცხოვრება საესეა ამ გვარი ახმეტებით. რომლებთანაც ვერას გამხდარა ვერც ციხე და ვერც ქველ-მოქმედება. ახმეტები ეს იგივე ხულიგანებია, ხულიგანები ეს იგივე ახმეტებია, რომელთაგანაც, ზოგი იუბკებს იპარვენ, ზოგი ძველ შაღვრებს, ზოგი ყაჩალობენ, სახლებს ტეხნი და უქროვერცხლი მიაქვთ. ხულიგანები მარტო რუსეთის კუთვნილება არ არის და ვერც იქნება...

და დღეს თუ ბარტო რუსეთში ლაპარაკობენ მის შესხებ ეს იმისთვის, რომ როგორც ზევით ვთქვით, აქ უფრო...

\* \*

საგლეხო ბანკები ეს ის ფაქტორია, რომელსაც შეუძლია გრეხი გაღატავებას გადარჩინოს, მიწის საკუთრებაში და ახალი საკუთრება შეანაბრენის და ბანკების სასტიკობლათ. ასეთს იმედს ამყარებულ საგლეხო ბანკებზე, ასე ფიქრობდენ, ასე მსჯელობდეს, სანამ მათი ფიქრი და მსჯელობა ცხოვრებამ მტგრათ არ აქცია. დაარსდა საგლეხო ბანკები, გაიხსნა სხვადასხვა ადგილს მისი განყოფილებები, მაგრამ ხალხი მარტო საგლეხო ბანკების შემსახურობაში მიაღწია. საგლეხო ბანკების მარტო რუსეთის კუთვნილება

ვერ იხსნა გალარიბებისაგან, გლეხს ვერ შეანარჩუნათ თავის საკუთრება; სოფელი ისევ მცელებურათ კულაკების და დროიდების სათარე შოთაა გადაქცეული.

საგლეხო ბანკის დაარსების მიზანი იყო ეყიდვა მიწის მებატრონებთაგან მამული და შემდეგ შეღავათიანი პირობით უმიწაწყლო გლეხებზე გაყიდა. მან პირველი ნახევარი თავის დანიშნულების საცხებით შეასრულა—მამული იყიდა მემამულებათან; ხოლო რაც შეეხება მიზნის მეორე ნახევრის ასრულებას—მაწის მიყიდვას გლეხზე,—ეს მთავარი მიზანი კი შეუსრულებელი დარჩა.

1899 წელს საგლეხო ბანკს გაუყიდავი მიწა დარჩენია 9,913 ათასი მანეთის; 1900 წელს თერთმეტ მილიონი მანეთის. ხოლო 1901 წელს ბანკს უყიდია თორმეტი მილიონი მანეთის სწა და გაუყიდია ოთხი მილიონის. სულ 1896 წლიდან მოკრდებული ბანკს ორმოცი მილიონი მანეთის მიწა უყიდია და გაუყიდია ამ ხნის განმავლობაში ოცი მილიონის. (Руе. Вწ. 1903 წ. № 314).

როგორც ამ ციფრებიდან ჩანს, ბანკით იმათ უსარგებლიათ, ვისაც მიწა აქვთ, მათ გაუნალდებიათ თავის ქონება; მიწა ხომ ისევ შეძლებულების—მემამულების ხელში და ბანკსაც მათვების გაუწევია სამსახური. ჩვენ, შეიძლება, რამე გვეთქვა ბანკის სასარგებლოთ იმ შემთხვევაში, თუ მისით შეუძლებელ გლეხებს მოეთბოთ ხელი. მარგამ მყიდველებში, გლეხს გარდა, სხვა წოდებაც ურევია და ეს სხვა წოდება წვრილი მოქალაქენია, რომლებსაც უმიწაწყლო გლეხებიან არავითარი სერთო არა აქვთ რა. როგორც ხედავთ საგლეხო ბანკით სულ სხვის, არა გლეხებს უსარგებლიათ და ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ბანკი საქვემდებრედო დაწესებულება არაა. აქ ყველაფერი წარმოადგენ დამყარებული. ნორბა კი ქონებაზე კიდია. არ გაქვს შეძლება, არც ნორბა გაქვს, ბანკის კარებთან ყოველთვის ასეთ სიტყვებს გაიგონებს: „ბანკი კომერციული დაწესებულებაა. კომერციის მიზანი კი მეტი მოგებაა, თუ რამეს პატრონი ხარ და ვისარგებლებთ შენით—მოდი, შენთვის ღიაა ბანკის კარები. თუ არაფერი გაგანია, მაშინ არც ჩვენ გვინდებარ, წალი“. და შენც უნდა წახვიდე, რასაც უთქმელათაც კარგათ მოახერხებ. და საგლეხო ბანკიც ამ „კომერციას“ ემსახურება.

აქ შეიძლება იქითხოს ვინმერი: ეს სულ იმის გამოა, რომ საგლეხო ბანკი ვერ არის კარგ ნიადაგზე დაყენებული, შეიძლება უკეთესათ მოგვარება საქმისო. შეიძლება მოსახერხებელია, უკეთესათ და ძალიან უკეთესათაც მოწყობა საქმის. შეიძლება სახელმწიფომ საგლეხო ბანკის საშვალებით შეიყიდოს მთელი მიწა-წყალი რუსეთში და შემდეგ გლეხებს უფასოთ დაურიგოს. ხაზინამ სულ მცირე სარგებელი იღლის მიწის შემსავალიდან. შეიძლება მოხდეს ასე... შეიძლება უკეთესიც მოხდეს. ხოლო ჩვენ ვამბობთ დღევანდელ საგლეხო ბანკებზე და არა მომავალზე. ჩვენ ვამბობთ, რომ საგლეხო ბანკი დღევანდელ პირობებში თავის ნამდვილ წმიდა დანიშნულებას ვერ მიაღწევს და ნულარ ვსტუცდებით, ნულარ ვებოტინებით მას.

\*\*

რუსეთში თითქმის ყოველგვარი დაწესებულება თავის ფორმას ატარებს. მხედრობას თავის ფორმა აქვს, პოლიციას თავისი, ფოსტის კიდევ თავისი, მასწავლებელს, ჩინოვნის კიდევ თავისი. ყველას გარევნით შეატყობით, თუ ის რა ხელობის კაცია, რა კაცია. ყველას შუბლზე, მხარზე, ან კისერზე რაღაც აქერა ისეთი, რომლითაც ის განსხვავდება უბრალო, უფორმო და უჩინო მომაკვდავისაგან... ზოგი მოსწონს ეს ფორმა, ეს ჩინი და ეპოლეტები და დიდის აბით ატარებს მას. ზოგი არ მოსწონს, მაგრამ რას იზამ, სამსახური მოითხოვს, შეუდგება თავის გამართლებას, თითქო ვინმე უმაღუ-

რი იყოს მისი... ზოგი ისე მოსწონს და ისე შეტროფის ჩინებს, რომ თავის ლირსება-ნაკლულევანობას ჩინით ზომადს. ინუირებსაც აქვს თავის ფორმა, თავის ფორმა ქონების. მაგრამ დახმა უილბლობას!—ინუირ-ტეხნოლოგის კი არავითარი ჩინი და ფორმა არ ქონებია. და დღეს ზოგიერთი ინუირ-ტეხნოლოგები თხოულობენ, რომ მათაც მიეცეს რამე ფორმა, რადგანაც მათი აზრით ჩახასია და ფორმას უმაღლეს გულტურას მთავარებელს და, მასთვის ჩვენც გვიჩდა გვიცნოს და მაგრადან უმაღლეს გულტურას წარმატებელს ჩინით ჩინი გაქვს, უმაღლეს კულტურის კაცი ხარ. არ გაქვს ჩინი უმდაბლეს კულტურის კაცის ეკუთვნი. საბრალო ინუირ-ტეხნოლოგები! აქამდი ისინი უმაღლეს კულტურის კაცათ არ უცნიათ!..

### თე აჭრის ზაფანი

ხალხის მომართვის არა ეპიზოდი ზოგიერთი კომედია 5 მოქ. იბსერია.

ძლივს ერთი იდეიური პიესა, ძლივს ელირსა საზოგადოებას ჩვენი სცენიდან ნამდვილი ცხოვრების სურათები და ენახა, ისეთი სურათები, რომელნიც ახლო ხვდებიან გულს და სულს, წვდებიან მის სიღრმეში აღვიძებენ იქაზას, გრძნობას, აღელვებენ მას და ოქვენ სრულიად კამაყოფილი გამოდიხართ თეატრიდან, რადგან გრძნობათ, რომ ცუდათ არ დაგიკარგავთ იქ გატარებული წუთები, იქ თქვენ ბევრი რამ საყურადღებო და საგულისხმო ნახეთ და გაიგონეთ. აი, ასეთია იბსენის პიესა „ექიმი შტოკმანი“, რომელსაც შევნიშნავ აქვე, ჩვენმა არტისტებმა სუსტათ წარმოადგინეს. ექიმი შტოკმანი ეს გატაცებული, ცხოვრების გმირია, დაუღალავი, შეუდღეველი მებრძოლია სიმართლისათვის, მისთვის კეშმარიტება ყველაზე მაღლა დგას, და მისი ტახტის წინ ქედს უნდა იხრიდეს ყოველივე სახელი, პატივი, დიდება, ქონება, ერთი სიტყვით, რაც კი ადამიანს ძერძევასთ მიაჩნია. ის ებრძევის უსამართლობას და უკუღმართობას, საღაც და როდესაც უნდა დაინახოს იგი.

ექიმ შტოკმანს დიდი ხანია არ უნახავს თავის სამშობლო ქალაქი, რომელიც მას გატაცებით უყვარს. ის ბრუნდება იქ და ნიხავს, რომ ამ ქალაქის სიმდიდრის წყარო, მისი უმთავრესი ძალვი, რომლის გარშემო ტრიალებს მთელი ქალაქის სიმდიდრე, აბანოები გაფუჭებულია, რომ მილების ქაობიან აღიღილებზე გაყვანის გამო მათში ქაობის წყალი ერევა, და ამიტომ ეუარებელ ბაცილებს აჩენს, რომელიაც შეუძლიათ სარგებლობის მოტანის მაგიერ მხოლოდ მოუშხამონ ჯანმრთელობა იმათ, ვინც ამ აბანოებს განსაკურნებლათ ეწვევა, და ნელ-ნელა სიცოცხლეს გამოისალმონ. მან თავის გამოკვლევა შემოწმებია სპეციალურ ლაპორატორიებში და როცა დარწმუნდა თავის აზრის კეშმარიტებაში, პროექტს აძლევს ქალაქს გადააქეთოს აბანოს მილები, გაწმინდოს წყალი, გაასუფთაოს აბანოები და ამით დაიხსნას მეტანები განსაცდელისაგან, რომელიც მათ ჯანმრთელობას და სიცოცხლეს მოელის. მის წინადაღებას სიხარულითა და აღტაცებით ეგებება ლიბერალური პრესა, დამოუკიდებლებიც მის მხარეს იქერენ, უფრო იმ განზრავებით, რომ ამით ყოფილ ბურგომისტრების ექიმ შტოკმანის ძმას, რომლის ნახელობას წარმოადგენენ ეს აბანოები, ჩამოაგდებენ და თვითონ ჩაიგდებენ ხელში ქალაქის მართვა-

გამგეობას, მათ პირში ნერწყვს გვრის ეს ოფილი და შემოსავლიანი აღვილი და „ქალაქის საბჭოს განსახლებლათ მედ-გარ ბრძოლის გაწევას ეპირებიან. ექიმი შტოკმანი სიხარულით ფეხზე აღარა დგას. მის მისწრაფება მალე განხორციელდება—ქალაქს სუფთა წყალი ექნება, ავადმყოფებს კარვი აბანო და ხალხი ამოწყვეტას გადარჩება, მის ქალაქს სახელი და პატივი დაედება. ასე უცნებობს ექიმ შტოკმანი. ის სრულიად დარწმუნებულია, რომ მისი გამოკვლევა ყველას თვალს აუხელს, ყველას დაანახებს სასტიკ სინამდვილეს. და ჰეშმარიტება ხომ თავისთავათ ღალადებს და განა ისე ორთავ თვალით დაბრმავებული გამოვა ვინმე, რომ ჰეშმარიტების გზის გაღაუხვიოს? განა რომელიმე თუნდ სულ მცირეოდენი სვინიდისის და პატიოსნების. მქონე აღმიანი ასეთ თვალსაჩინო, ქვეყნისთვის სასარგებლო ჰეშმარიტებისთვის თავს დაზოგავს, განა ყველა მას არ მიემხრობა? მაშ რა უშავს შტოკმანს. მის მხარეზეა დიდი უმრავლესობა და მათხე დაყრდნობილი, როგორც პრომეტეი კლდეს დაკრავს ხელს, და ყველაფერი მის ნებისამებრ აშენდება. მარა ცხოვრება სულ სხვა მახეს უმზადებს ამ გატაცებულ გმირულ მებრძოლს. ის ენდობა ჰეშმარიტების ძლიერებას და ვერ შეუგნია, ვისთვის არის ეს ჰეშმარიტება სასარგებლო და მაშასადამე აღვილი შესაგნები და ვის თავრეტს დასახამს, ბრაზით კბილებს დააკრაჭუნებიებს და თავის წინააღმდეგ აამხედრებს. ასეთები კი ბლომათ მოიპოვებიან. ასეთია პირველყოვლისა მისი ძმა, ქალაქის ბურგომისტრი (ქალაქის თავი), ქალაქის აბანოები—ეს მისი ხელით დანერგილი ნაყოფია, მისი სახელის და დიდების საფუძველია და აი ამ საფუძველს ურყებს მას ექიმ შტოკმანის გამოკვლევა. ის აქამდე სახელგანთქმული, ყველასაგან პატივცემული უნდა ამიერიდან დაეცეს ხალხის თვალში. ყველა თვლიდეს თავის მოწამვლის, დასწეულების და დაავადმყოფების მიზეზათ. განა მას შეუძლია ამის მოთმენა? რასაკვირველია, არა. ის იცავს თავის ინტერესებს, „როგორც „გონიერი და დამჯდარი ხასიათის პატრონი“, ხოლო ეს ინტერესები კი მას ეუბნება აბანოების ყოველგვარი ჩირქი დამალე, ყოველ მის ნაკლს ხელი მაგრათ დააფარე, თუნდ ამას მთელი ხალხის დასწეულება და სრული გაულეტაც მოყვეს და ისიც ასე იქცევა. მან ცხადია, კარგათ იცის ბრძნული სიტყვები: „ჯერ თავო და თავოო..“ ექიმ შტოკმანის მტრათ გამოდის იგივე დამოუკიდებელი და ლიბერალური პარტიები, რომელთაც ამ რამდენიმე წუთის წინეთ დიდი რიხით და გამჭვდაობით გაიძახოდენ, ჩვენ უნდა დავიცათ ხალხი გაწყვეტისაგან და ამისთვის ძლიერი, აშერა ბრძოლა გავუწიოთ ყველას, ვინც კი ასეთ განხრახვას წინ გადაედობება, თუნდ თვით ქვეყნის მმართველი მეფეც იყოს ისო“. მარა რაწამს შეიტყობენ, რომ აბანოების გამწენდელს სახლი სჭირდება, რომ მისთვის ქალაქმა უნდა მსხვერპლი დასდოს, მათ ჯიბეს კარგ ბლომათ ფულები უნდა ამოავლოს, რომ ამასთანავე, ბურგომისტრი ძლიერ გაჯავრებულია, ისინიც ურცხვათ უქცევენ ზურგს ექიმ შტოკმანს. და ისევ ქალაქის ბურგომისტრს მიემხრობიან. მყირიალა ლიბერალები, რომლებსაც ენაზე მუდამ ხალხი აკერიათ, ხარჯის გაფონებაზე კროგბიან, შინდებიან და ვეღარ ბედავენ იმის თქმას, რაც „მესაკუთრეთა ასოციაციას“ არ მოეწონება. ეს „მესაკუთრეთა ასოციაცია“, მისი აზრი, „შეხედულება—აი ამ ლიბერალთა რედაქტორი, ცენზორი, გადაუვალი კანონი, ერთი სიტყვით, რაც გინდათ უწოდეთ ყველაფერი. მის გარეშე ის ფეხს ვერ სდგამს, მის ინტერესებს გარეშე ის ვერ იხდება... ის მისი ყურმო-

ჭრილი მონაა და თუ ხალხზე ხანდახინ დიდის უნდობის მიმდევად იმიტომ, რომ ბატონი თავის გულვეთილობით, უფრო კი ქვენა, გაიძვერული მიზნებზე დაშვერებული ადლევს. დიახ, ის ყველა ამ მესაკუთრეთა ინტერესების უნდა დაგმულობს. და ამა რას დაგიდევენ მესაკუთრენი, თუ წყალი ბაცილების გამარცელებელ წყაროთ არის გადაქცეული, რა ენალვლებათ მათ, თუ ის მოჩჩენის მაგიერ, სულს გაანთხევინებს სწორების. მათ თავის ვარიმი აწებეთ, რომ აბანოების უვარების გამოამეღავნეს—მათი საქმე ხომ ხელიდან წასულია, ერთი კაციც კი აღარ მიეკარებათ, ამასთანავე გადასაწმენდი ფულის გაღებაც დაზარდებათ, მათ კი სახლები იქვთ მეაბანვეთათვის გვირცას ებში მისაქირავებლათ, მათ სავაჭროები გამართეს და საქონლის გასაღებას მეაბანვეთაგანვე ელიან. მაშ რალათ უნდა ეს ქონება, ოხრათ უნდა დარჩეთ ხომ სახლებიც, რომ წყლის უვარებისა ქვეყანაშ შეატყოს. უნდა გაუყიდეველი დაულეთ ხომ მოტანილი საქონელი, რომლითაც გამდიდრებას ელიან! ამასთანავე კიდევ ფულიც უნდა გაიღონ თავის გაცალიერებულ ჯიბიდან! ღმერთო ჩემო, ხომ სულ ამოერთვათ სული და ეს სულ რაღაც მეცნიერულ გამოკვლევისთვის! რა ოხრათ უნდა მათ ის ჰეშმარიტება, რომელიც მათ ზარალის მეტს არას მოუტანს. არა ასეთი ჰეშმარიტების არსებობა შეუძლებელია, ასეთი სიმართლე არ უნდა იყოს, ის არ არის ჰეშმარიტება, ჰეშმარიტება მხოლოდ მათ ჯიბეს უნდა ემსახუროს, ასე ფიქრობენ ისინი, თუ არა და ჯანდაბას ისეთი ჰეშმარიტება, შორს ჩვენგან ისეთი სამართლი!.. მათი ტკინი არაა მოწყობილი ასეთ ჰეშმარიტების მისაღებათ. მისი უჯრედები არასოდეს არ გაატარებენ ისეთ ზომებს, რომელიც რაღაც ჰეშმარიტების ნაყოფია და არა მათი ინტერესების. მათთვის ძვირფასა მხოლოდ კუჭი, მუცელი, სახლი, ქონება, აი ამას უქმევნ ისინი გუნდრუს და თუ ამ დროს გზაზე რამე გადაელობა, უსათუოო გასრესენ. ამიტომ აშუოთდა მოელ მესაკუთრეთა წრე, გონიერი ზომიერების და ზომიერი გონიერების (ზედმეტის არა! რა საჭიროა მეტი გონიერება!) მქონე საზოგადოება შეიძრა მესაკუთრეთა წრის დამყაცებული წაობი, შეარყია ყოველი შლამი და უწმინდურება და მოედო ქვეყანას. ის ალარავერს ზოგავს, რომ გააქრის ის ჰეშმარიტება, რომელიც კუჭრუტანებილან ძრება მის სამეფოში და ტკილი ძილს უფრთხობს, ცხოვრებას ურევს. მისი ცხოვრება ხომ ბნელით მოცულ ცხოვრებაზე აშენებული, მისი სიძლიერე შეუგნებლობის სამეფოზე დაყრდნობილი; ხალხის გაუგებრობა, თვალების აჩვევა, თავზე ხელის მოსმით მოტყუება, და თეთრის შავით ჩვენება, აი მათი უმთავრესი საშვალება. ხალხი ბევრია, ის უმრავლესობას შეადგენს, მარა ის შეუგნებელია. მას აშინებს ლიბერალური პრესა, რომელიც ყოველ დღე ტკილ ნანინას უმღერის, ეთამაშება, ელამუნება და ზურგს უკან კი გროშ ფულზე ყიდის, თავის კუჭის გაძლომისათვის სამარეს უხხრის. „ხალხი, ხალხი“ გაიძახის ის თვალდასანახვათ. „კუჭი, ჩემი კუჭი“ იქვს ნამდვალ დევიზათ ცხოვრებაში.

და აი ასეთი პრესა საუკეთესო დამცველია იმ მესაკუთრეთა ასოციაციის, მოქლი ქალაქის ბურეუაზის. ამიტომ ბურგომისტრი ჯერ მას იმბრობს, რომ მერე მით მოელი ხალხი თავისკენ გადაიკანოს. ის მიღის „სახალხო მოამბის“ რედაქციაში, რომელიც დაბირდა ექ. შტოკმანს მათი წერილების დაბეჭდვა, უარს ათქმევინებს მათ ამ დაპირებაზე და თავის წერილს აპეჭვილინებს. ამ წერილში კი მის სწერია, რომ

— აბანოები საუკეთესო მდგომარეობაშია როგორც ჰიგიენური, ისე სანიტარულ პირობების მხრივ და თუ საჭირო იქნება მა-ინც რაიმე შეკეთება, ამას ქალაქის ადმინისტრაცია დაუყოვ-ნებლივ გაათავებს და სხვ. ერთი სიტყვით ყველა ის, რაც სი-მართლეზე ისე შორსაა, როგორც ცა დედამიწაზე... „ექიმი შტოკმანი მაინც არ სცხრება და ფიქრობს თავის წერილის ცალკე გამოცემას, მარა ამაოთ. მესტამბენი ყველა მესაკუთ-რენი არიან, და აბა თავის ინტერესების საწინააღმდეგო საჭ-მეს რათ ჩაიდენენ. განა „სულელები“ არიან!.. ამნაირათ შტოკმანს მწერლობის საშალებით ჰეშმარიტების გამოქვეყნე-ბა შეუძლებელი უხდება. მარა ის არ ცხრება, მის შეუდრე-კელ გულს ვერ აშინებს ასეთი დამარცხება, მას ლიბერალებმა ულალატეს, მესაკუთრეებმა მტრობა და ომი გამოუცხადეს. და არა მარტო ხალხი.—ეს ქალაქის უმრავლესობა, რომელ-საც შეუძლია გაიგონოს მისი ჰეშმარიტი ხმა. მარა აქაც მის ფეხი გაუსხლტა. ის აქამდე ლიბერალებს ენდობოდა, მას ჰეშ-მარიტების ძლიერების დიდი რწმენა ქონდა.—ჰეშმარიტება მისი აზრით ქვასაც და კლდესაც გახეთქდა, მის ბრწყინვალე-ბის წინაშე ყველა დაეცემოდა და თაყვანს სცემდა, მარა მო-სტყუვდა. ლიბერალებმა არ მიხედეს ჰეშმარიტებას, არამედ თავისს ინტერესებს. მათ ალაპარაკებდათ და ამოქმედებდათ მხოლოდ უკანასკნელი და ჰეშმარიტებაც მათვის იმდენათ გასაგები და ადვილათ შესათვისებელი იყო, რამდენათ ის მათ ინტერესებს არ ეწინააღმდეგებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მზაო იყვნენ ფეხებები გაეთელათ ის და კიდევ გაო-ლეს... ხალხისთვის კი მას აქამდე არა უთქვამს რა—არ ჩაუ-გონებია, ხალხი სულ იმ ლიბერალურ პრესის ძველ ენის ქვეშ იზრდებოდა, რომელიც მას ჰეშმარიტების ჭურჭლათ მიაჩნდა. და ომელიც ხალხის სახელით მოქმედებდა. ამიტომ გასაკი-რველი არაა, რომ ხალხმა ამ ლიბერალურ პრესს მისუა მხა-რი მისი სიტყვები მიიღო და ამით ჰეშმარიტების დამფარავი გამოვიდა. მან არ მიიღო ექ. შტოკმანის ჰეშმარიტება... შტოკმანი მაინც და მაინც დიდი აზრის არ იყო მათზე, იუ-მცა მუდამ მათ ინტერესებზე ფიქრობდა. ბრძო მისს თვალში შეუგნებელ მასას წარმოადგენს, გაუნათლებელს, რომელსაც არც კი შეუძლია ჰეშმარიტების შეგნება, და მხოლოდ სხვის ფეხის ხმას მიყობა. ჰეშმარიტება მხოლოდ „გონებრივ არის-ტოკრატიის“ მონოპოლიაა, მხოლოდ მათ შეუძლიათ შეითვი-სონ და შეისისხლ-ხორცონ ის და შემდეგ ხალხს ბედნიერების სხივი მოფინონ. მისი მოწინააღმდეგები ხელზე იხვევენ ამ აზრს, ბრძოს განზე უსევენ, ბრძოც იხვევს თვალებს, ენდობა თავის თვალის ამხვევთ. ემხრობა „სახალხო გაზეთს“, რომელიც ხალხისთვის კა არა, მათზე სანადიროთა გამოცემული და სტყენა კიუინით უარყოფს თავის ქომაგს, მოსარჩევს, შეუ-რაცხოფას იყენებს თავის დამცველს; უშიშარ, მხერ მებრ-ძოლს ჰეშმარიტებისათვის... ექ. შტოკმანის ლექცია ამიტომ მისი დამარცხებით თავდება: ურა—უმრავლესობა ემხრობა მის მოწინააღმდეგეთ და აძევებს მას... მარა ის ცეკვა სულით. ის გმირია და გმირს კი უკან დახევა არ შეფერის. ის ამჩნევს, რომ ამ ქალაქში აბანოს წყლები კი არა, თვით ცხოვრების ყველა ნაკადულები, თვით საზოგადოება თავის დამეჯვებულ „ზნეობით“, რიხიანი სიტყვებით და გაიძვერულ მოქმედებით ყოფილა ერთათ მოწამლული და მოშხამული იმ დამპალ სა-ზოგადოებრივ ქაობის ჰაერით, რომელშიაც ის ცხოვრობს. მთელი საზოგადოება სენით არის შეპყრობილი, ამ სენის მი-ზეზები ისე ლრმათ არიან ჩასოსილი მთელ მათ ცხოვრების

ძაფებში, რომ მისი მოსპობა შეიძლება მხოლოდ მთელი ამ. წყობილების ერთათ დანგრევით. სენი საკუთრებაა, ჭამის ინ-ტერესი, რომელიც დამახსინითებელი თვისება ჰქონდა ჩელიუკი წყობილების. ეს წყობილება ისეთ საფუძველზეა რომ წერტილები რომელიც მოიხსოვს ყველასთან მხოლოდ და მხოლოდ თავის კუჭის ინტერესებზე ზრუნვას. აქ მდიდარი იმიტომ არის მდი-დარი, რომ ის ფულით მატყუარა გაიძვერა, რომ ის გრო-შათ არ აფასებს ხალხის კეთილდღეობას, თამამათ აბიჯებს მათ ინტერესებს და თავის ჯიბისკენ მიეზიდება ყველაფერს, რის ამოწუწნაც კი შეიძლება ხალხის ჯიბიდან. მისთვის არ არსებობს არაფერი წმინდა გარეშე თავის გამდიდრებისა, და ამას ანაცვალებს ის ყველაფერს. მისი ასეთი გულ გაუმაძლ-რობა—საფუძველია მისი ასეთი გაცხარებული ბრძოლის კე-შმარიტების შუქთან, ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვასთან. ცხადია სანამ არსებობს ეს მიზეზი, არ მოელება ბოლო არც შედეგებს, ამიტომ ექ. შტოქმანი სამართლიანათ დასძახის გულის სილრმიდან ამოხეთქილ სიტყვებს, მოისპოს, დაილეშოს მთელი ეს შხამით და გესლით აღვსილი წყობილება, განა-ცარბტვერდეს იგი! მხოლოდ ამით მიეცემა დასასრული ამდენ უკუღმართობასო...  
ამ სიტყვებით ის სტოვებს კათედრას, საიდანაც ხალხის-თვის კეშმარიტების გაცნობა უნდოდა. ხალხი კი ლიბერალე-ბის მეთაურობით მას „ხალხის მტრათ“ მონათლავს. აქამდე მიღის მათი გაბოროტება!.. მარა ამასაც არ სჯერდებიან. სა-მართლის შუქი, რომელიც მოძრება ყოველ ჭუჭუტანიდან, გამოკრთის ექ. შტოქმანის ყოველ ფეხის ნაბიჯიდან, მაიც არ აძლევს მოსვენებას ქალაქის სვე-ბედის გამგეთ. ისინი უს-კობენ მას ყოველ საშვალებას კეშმარიტების გამომედავნები-სას, უსპობენ სახსარს ცხოვრებისას, აგდებენ სამასურიდან მას, მის შვილს, ითხოვენ ბავშვებს შკოლიდან, სდევნიან ყვე-ლას ვინც კი მათ ხელს გაუწვდის, მარა ეს ვერ აჩერებს შე-უდრეკელ მებრძოლს... მაშინ ბურგომისტრი ცდილობს, მის პატიოსნებას ჩირქი მოსცხოს, მისი გატაცებული მოქმედება გეშვეტების ნაყოფათ გამოიყენოს, ის ავრცელებს ხმას, რომ მან განგებ დააგდო ეს ხმა, რომ აბანოს აქციების ფასი და-ცემულიყო იაფათ შეეყიდა და მერე სარგებლობა ენახოა... აქციები ნამდვილით კი მისმა სიმამრმა იყიდა იმ ფულათ; რომელსაც ის მის შვილებს უანდერებდა და ახლა წინადა-დებას აძლევს ექ. შტოქმანს ამ აქციებს ისევ ფასი მოუპო-ვოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მის შვილს შიმშიღი, სიცივე, გაჭირვება მოელის. ექიმი ყოყმანობს, მარა ამ დროს მასთან მირბიან ის ლიბერალები, რომელთაც მოჩვენებიათ, რომ ექ. შტოქმანი ბრაზმორეული გააგდებს მათ ცემით თავის სახლი-დან, უარს ეუბნება თავის ბიძასაც მემკვიდრეობაზე, და მარ-ტოთ მარტო, უგროშოთ დარჩენილი ახლა კიდევ უფრო მე-ტის ენერგით იწევს საბოძოლველათ გამეფებულ ბოროტებას-თან. მას ყველაფერი აქვს, ძალაც, ენერგიული შრომის სიყვა-რულიც; არა აქვს მხოლოდ ძველი ნიადაგი, მან უღალატა მას, და ახლა აღარა დარჩენია რა იმის მეტი, რომ ისევ იმ „ქუჩის“ ხალხს მიმართოს, რომელიც მცველში და ნაგავში ცხოვრობს, თავი და გონება დახშულ ჰაერით აქვს გაბრუე-ბული... და მათში იპოვოს თავისებრ შეუცველი შრომის მებრძოლნი. მასაც უნდა ამ გზას დაადგეს. მაგრამ ამასთანავე კიდევ ერთი რამ აღმოჩნდა. ის ხედავს, რომ მას გზას უკრავენ. შინ მშე-რი ულუკმა ჰუროთ დარჩენილი ოჯახი ყავს. გარეთ მის წი-ნააღმდეგ ამხედრებულა საზოგადოება, დაბრმავებული და გა-ცრუებული ხალხი ის მარტოთ მარტო რჩება, უსაღსროოთ, უსაშვალოთ, და რაღა დარჩენია იმის მეტი, რომ მოშორდეს, იმ მოშხამულ არ მარეს, გადიქარგოს, შორს, ისეთ ადგილს

საღაც მისი ქალაქის ხსენებაც კი ვერ მიწვდება, მარა ის ამას არ ჩეხობს. პირიქით, რაც უფრო მეტს შეამს და სამსალის უმზადებენ მოქალაქენი, მით უფრო ემატება მას გმირული თავგანწირულება და გაორკეცებული ენერგიით ემზადება ხელახლა შესატაკებლათ, მან აღმოაჩინა, რომ „ყველაზე ძლიერი ქვეყნიერობაზე ის არის, ვინც, მიუხედავთ იმისა, რომ ყველანი ჩამოეცალენ, ბრძოლის ველს მაინც არ მიატოვებს“. ამიტომ ის რჩეობს დარჩეს ისევ თავის ქალაქში და ძირი გაუთხსროს ამ ქვეყნის ჭიების ბატონობას... ასეთია იბეგის პიესა. მასში ნათლათ არის გატარებული საყვარელი იდეა იბეგისა... გმირი, შეუბოვარი გმირი—რომლის ძლიერება მის ხასიათის სიმტკიცესა და შეურყეველ რწმენაზეა დამყარებული, ებრძის მთელ საზოგადოებას მთელ ხალხს და სურს ყველაზე გადააბრუნოს.

აქ უპირდაპირდება ერთი მეორეს ორი ძალა: გმირის და საზოგადოების. პირველის ძლიერება მისი ზნეობრივი სიფაქიზეა, მისი შეურყეველი ხასიათია, მეორე საზოგადოების სხვა და სხვა კლასთა მიმხრობაში ეძებს ხსნას. პირველს წას ჭეშმარიტება—მეორეს მხოლოდ თავის კლასობრივი ინტერესები და აი ეს ორი ძალა ეჯახება ერთი მეორეს. აქ ბურუჟების კლასობრივი ინტერესები—ეწინააღმდევებიან ჭეშმარიტების მოთხოვნილებას, მეორე მხრით ეს ჭეშმარიტება—ნამდვილი ინტერესებია უბრალო ხალხის, რომელსაც ეჭირვება სუფთა წყალი, კარგი აბანოები, მას არ შეუძლია წყლის მაგიერ ათასგვარი სასმელი იხმაროს, როგორც ამას ჩაღიან მდიდარი კლასები, მას ეჭირვება ცხოვრების უსამართლობის, ძალმომრეობის მოსპობა; მარა მას არ აქს შევნებული თავის ინტერესები. ექ. შტოქმანი კი, მის მაგიერ, რომ იმათვან შევნებული ძალა შექმნას და მით ისარგებლოს, კმაყოფილდება ჭეშმარიტების აღმოჩენით, და მარტო მარტო ებრძის მთელ საზოგადოებას. მართალია, ამ ბრძოლიდან ის ზნეობრივათ გამარჯვებული გამოდის—მის მოწინააღმდევეთ კი პირბადე ეხდებათ და მთელი თავის სულმდაბლური, ეგოისტური გრძნობებით თქვენ წინ იშლებიან. მარა მისი შეცდომა იმაშია, რომ ის, როგორც გმირი, მარტო მარტო გონებს ქვეყნის გამკლავებას, არ ეძებს რეალურ საზოგადოებრივ ძალას, რომემაც უნდა განახორციელოს ცხოვრებაში ჭეშმარიტების იდეალი ის მხოლოდ ჭეშმარიტების ძლიერებაზე აშენებს თავის ციხე-სიმაგრეს, საიდანაც, როგორც მდევი, უნდა დაესხას და თავზარი დასცეს ქვეყანას. და ამიტომ ის მარცხდება, მისი იდეები იჩარებიან.

საჭიროა, და ათასჯერ საჭიროა ასეთი პიესები ხშირათ იდგმებოდეს ჩევნ სცენაზე.

ა. რედაქტორი

## ს ი ც რ უ ე

(ძველი კაცის ნამზაბი)

I

პატარა და კოპტია სახლში, რომელიც ერთი მხრით გადაცემრდა შევ ზღვას, ხოლო მეორე ზურგით კი მაღალს მთას ამოფარებოდა, ვიკინებოდით ჩევნ, რამდენიმე ამხანავები, თუმცა არ ვიცი რა უფრო გვიტაცებდა აქ—ჩევნი მოხუცი მასპინძელი თუ განსაკუთრებული, მიზიდველი მდგომარეობა ამ სახლისა... ეს კია, რომ ძლიერ ხშირათ ისე გვიკურობდა ჩევნი მასპინძლის ტკბილი და დალაგებული ამბები, რომ ბუნების სიმშვენიერებული გვავიწყდებოდა, ზღვაც, სტოლზე დადგმული სამოეარიც და მოხიბლულ-მოჯადოებულნი სულ-განაბულნი ვუგდებდით მას ყურს.

— კიდევ უარესების მოწმეა ჩევნი ქვეყნა!—განვითარდა ფიქრებით მოხუცმა და ხმა გაიწმინდა,—განა მაგისტრანაებს დაინახავს და გამოცდის კიდევ კაცი?—ის კრდევს დუფლებული მის სახეზე რამდენიმეჯერ გაიქროლა სევდიც და უფლებული ეს კაცი.

— რამდენი ხანია მას მერე და რა ნათლათ მიდგას ის წინ, თუმცა მონატრული კი ვარ, რომ ის არც მახსოვდეს და არც შემდეგში გამახსენდებოდეს. მართლა, დიდი ხანია მას შემდეგ—ოცი, თუ რადა სამი წლის ვიქებოდი მაშინ. თქვენ, ახალგაზრდები, იმით ამყობთ რომ სატანჯავათ ძალაც შეგწევთ და სურვილი კიდევ მეტი გაქვთ, მეც ვიყავი ერთ ღროს ერთი მაგ ჯურის ახალგაზრდათაგანი. მეც, როგორც თქვენ, ძალიან მხიბურდა თავი და ვინ იცის რა ნაირ ტკბილ სურათებს არ მიხატავდა წინ ჩემი გატაცებული გრძნობა, ჩემი დაუშერეტელი უცნება. მე გარშემო საზოგადოებაში მყოფი მხოლოდ ლეშით, სულით სანატრელ მომავლის ჭუჭრუტანებში ვიცქირებოდი და ჩემი არსება სტკბებოდა სხვა-და-სხვა მოხიბლავი სცენების ჭვრეტით. ეს ცალი ფეხით მომავალში ყოფნა მე ხშირათ წამომახსებდა რაღაც ისეთ რამებს, რასაც სხვები ვერ გაიგებდენ, ვინაიდან არასოდეს არ ენახათ იმათ ის და კიდევ ამიტომ იყო, მე ერთ მშვენიერ ღროს, როცა ტკბილი სიზმრები აღთქმის ქვეყანაში მასებირნებდა, იქ ამოვყავი თავი, სადაც ღმერთმა ნუ შევახვედროთ ყოფნა...

— იქნებოდა ღამის ორი საათი, როცა მე და პოლიციელი ეტლით მივადექით ქალაქის განაპიროს აშენებულ მოწყენილსა და სასტიკ შენობის რკინის კარებს. პოლიციელმა ზანტათ ჩამოჰკრა იქავე ჩამოკიდულ მავთულის ტარს და მე გავიგონე სადლაც შორს ზარის ხრინწანი წკრიალი. არ ვიცი როგორი ღამე იმაზე თუ რა მომელოდა. ხოლო მე კი, ამ მოულონები ამბით გარეტებულს და თან გამოუცდელს, მეგონა ყველაზერი სიავე ჩემთვის იყო გამზადებული, მეგონა, დღეის იქით მე თავისუფლების აჩრდილსაც ვერ ვიპოვიდი, რომ მზის სინათლეს ვეღარ ვიხილივდი, რომ იქ, აღამიანების მაგიერ გმელები დამხვდებოდენ და შემჭამდენ... ამაებს და ვინ იცის კი კი რა ნაირ სურათებს არ მიხატავდა მე წინ ჩემი აშლილი ნერვები და ტვინი! განა მაშინ მოვიფირებდი, რომ ღდეს ამ ჩემ მაშინდელ შთაბეჭდილებას ვინმეს გაუზიარებდი საკუთარ სახლში? ან რომ ვინმეს ასეთი იმედი მიეცა. დაცინვათ არ მივიღებდი?

— კარები გაიღო და მე შემიყვანეს შიგ. კარების გამლებმა ვიღაც ხუმარა ხახოლმა ერთი ამხედ-დამხედა და რა შემატო ახალ გაზრდობა, გააქნია თავი და ღაცინვით მითხრა:

— ძალიან ადრე კი დაგიწყია ჩემო ძმაო!

— აღბით ჭურდი ვეგონე, ან რამე იმის მზგავი. შემიყვანეს დერეფანში, ჩემმა მხლებმა პოლიციელმა დამტოვა კარების გამლებ ყარაულთან და თვითონ სადლაც წავიდა.

— არ მაგონდება რაზედ ჩამოვავექი, ყველაფერი დამავწყდა, თუ რამებს ვფიქრობდი, არც ის ვიცი თუ რამდენ ხანს გასტანა ჩემ ამ გვარმა მდგომარეობამ, მხოლომ მხარზე მძიმე ხელების დაკვრამ გამომარკვია. ავიხედე და ისევ ის პოლიციელი და დარაჯი მადგენ თავზე.

— აღექი, უნდა გაგებრიერო!—მითხრა დარაჯმა.

— მე არაფერი მაბალია, გარდა თუთუნისა,—მივუგვე,—სხვა თუ რამ მქონდა აქ მოსვლამდე წაიღეს და მე შევხედე პოლიციელს, რომელმაც არ ვიცი რატომ, მაგრამ თანხმობის ნიშანათ თავი დააქნია.

— ის თუთუნი მოიტა, აქ თუთუნის წევა აკრძალულია, შენ არესტანტი ხარ!—მითხრა მან.—ეს სიტყვა „შენ“ რაღაც შხამივით მომხვდა გულში და მოვითხოვე, რომ ცოტა ზრდილაბიანი ყოფილიყო ლაპარაკსა და მძეცებული.

„ზრდილობიანი?—გადაიხარხარა მან,—მესმის თქვენი კეთილშობილებავ, მესმის!—და კიდევ გულიანათ გადიხარხარა, მოიტა, რალა, თუთუნი!

„რახან აგრეა, ეს თუთუნი უნდა შენახოლო, —ვუთხარი მე—და გასვლისას უნდა მომცეთ, ეხლა კი მიბოძეთ კვიტანცია, რომ ჩემი თუთუნი გაბარიათ! ხახოლმა კიდევ გადაიხარხარა და მხარზე ხელი დამკრა.

„— სად გვინია, ყმაწვილო, შენი თავი, ბებია შენის ჯალ-თაში ხომ არა? ეჭ, ყმაწვილო, ყმაწვილო! აგრე თუ შეწუხებოდი, ვიქნებოდი კვიანათ და იხ იყო, თორემ ეხლა. შენც სწუხარ და მეც მაწუხებ!

„— ცოფიანივით ავენთე, მაგრამ რას გავაწყობდი. მე ვიცოდი, ამ თუთუნს თვითონ მოიხმარდა და ასე მეგონა, ამით მთელი ჩემი არსებობის სახსარს მართმევს მეთქი. ახლა მეცინება ამ მოგონებაზე და შაშინ კი, მაშინ მე მზათ ვიყავი შემეჭამა, დამეგლიჯა ის. აი როგორ აწვრილმანებს ადამიანს ციხე და ზოგიერთებს კი, როგორც ჩემს ცხონებულ დედინაცვალსა და კიდევ ორიოდე ჩემ ნათესავებს ეგონა, რომ ციხე და სალდათაობა საუკეთესო სკოლაა ისეთ გიუსითვის, როგორიც ეს ვაჟბატონი ბრძანდებაო—ჩემზე ამბობდენ. ამ ბოლო დროს მაინც უფრო და უფრო იკიდებს ფეხს ასეთი შეხედულება, ციხებს ემატება და ემატება მუშტარი და მატულობს და მატულობს საბყრობილეთა რიცხვიც.

„— წამომყე!—მიბრძანა დარაჯმა და გვერდში ამომიდგა. ჩვენ გავიარეთ გძელი კორილორი, რომლის თავსა და ბოლოში ძლიერ ბეჭურავდა ორი სანთელი, მივადექით კიბეს და ავედით მაღლა, გავიარეთ ცოტა და შევედით ერთ გამოქვაბულში. საშინელ სინოტის ვერდნობდი ამ ბნელ თახაში, თუმცა სინელის გამო ვერ გავარჩიო მისი ვერც განი და ვერც სიგრძე.

„— მოისვენე მანდ! ამაღამ არც სანთელი გექნება და არც საწოლი! მაინც როგორც ჩანს ჩვენ კარგა ხანს უნდა ვუცეიროთ ერთმანეთს და რატომ არ წამოილეთ თქვენი საწოლი? მაგრამ მაგასაც მოვესწრებით, ხოლო ამაღამ როგორც გექნებოს... მალე კი გათენდება... ღამე მშვიდობისას გისურვებ ახალგაზრდა სტუმარო, ნუ დაგვძრახავ!

„— შემდეგში გავიგე, რომ იმ ზევით მძიმე დამნაშავენი ამოყვადათ. ამ რიგათ, სრულიად მოულოდნელათ მე გაეხდი ტუსალი, საშიში კაცი, ისეთი საშიში რომ ჩემი თახის ერთად-ერთი ფანჯარა რკინის ჯოხებით იყო დახლართული, რკინისავე კარს. გარედამ ვეებერთელა ბოქლომი ჩამოკიდეს, გარეთ კარიდორში შეიარაღებული მცველი იდგა, ამოსასვლელ კაბეზე კიდევ მცველი, ეზოში შეიარაღებული ჯარის კაცები და ეზოს გადაღმა კიდევ ისე. რა ეშველებოდა საზოგადოებას, რომ აგრე გულმოლგინეთ არ იცავდენ მის მშვიდობიანობას!..

„— როგორც იყო გადავათენე ის ღამე და ინათლა თუ არა, ჩემ ბინას დაუწეუ თვალიერება. ყოველ მხრით შავი კედლები, მხოლოდ კარებში ცოტა კუჭრუტანა იყო გაკეთებული და კარების პირდაპირ მეორე კედლებში თავიანთ ფანჯარა იყო გამოქრილი, რომელიც ცოტა შეიძლებოდა იმას მიკურნობოდი და ციხეს გადაღმა კიდევ დამენახა რამ. ან რა მიზიდავდა გარეთ ისე ძლიერათ მაშინ? განა ეს კვეყნიერებაც იგივე საპყრობილე არ არის და ადამიანები იგივე მცველები არ არიან ამ ვეებერთელა საპყრობილის, რომ სიმართლესა და ქეშმარიტებას ფეხი არ დაადგმევინონ ზედ?... მაგრამ კმარა, ვიცი რომ თქვენი ახალგაზდა გონება არ დაკანხმება მოხუცებულ პესისმისტს და ამიტომ ვდეუმვარ... ჰო, რა უნდა მექნა? მე გავიარ-გიმოვიარე რამდენიმეჯერ, მაგრამ სივიწროვის გამო თავბრუ დამესხა და იქვე კედლეს ავეყუდე.

გავიხედე წინ—კედელი, შავი, მოწყენილი ცედელი და ზეტი არაფერი. შევბრუნდი—ისევ კედელი, ყოველ მხრით კედელი და შიგ კი მე, რომელიც გიშვივით ვაცეცებ უფროსში უკრიფტ უკრიფტი კუთხიდან თვალი მირბის მეორე კუთხეში შეგძლივეს უნდა კედელი, იგივე მოწყენილი და უთანაგრძნობო, ცივი, ცივი კედელი! ღმერთო! ეს რა ამბავია! ნუ თუ მხოლოდ ამ კედლებს უნდა ვუცეირო? სანამდე?

„— მე ღიღი მოყვარული ვიყავი მარტოობისა. დღეში ერთხელ მაინც გავექცეოდი საზოგადოებას და სადაც მიყრუებულ და მიღუმებულ ქალაქის განაპირო უნდებში ვეტიალობდი და ვტებებოდი, რომ მარტოდ-მარტო ვიყავ და არვინ ჩემი ფიქრების მოზიარე არ იყო. მე, ჩემი განმარტოების წვერზე შემჯდარს ასე მეგონა, რომ მთელ ქვეყნიერობას დავცეკეროდი ზევიდან და ვტებებოდი ამ სიმაღლიდან დანარჩენი ქვეყნების ცეკრით. ეხლა კი, საპყრობილეში რა იქნა ეს სიყვარული მარტოობისადმი, ეხლა სად გაქრა ის?

„ამ ფიქრებში ვიყავი, რომ თუ სართულიან ციხეში ატყდა ყრუ და გულის ამრევი ხმაურობა, უღარუნი ბორკოლების, სიცილი გინებაში არეული. მე გამოვიჭიტინე კარების ჭუჭრუტანაში და მივხვდი, რომ ტუსაღებს კარებს უღებდენ. პატარა ხანს იქით ჩემ წინ გარბოდენ ფერ-მკრთალი, მაგრამ მხიარული კაცები, გარბოდენ მხიარული სიცილით და ერთმანეთის მუჯლუგუნის კვრით. აქეთ-იქით კი რამდენიმე ჯარის კაცი ედგათ და აქეთ-იქით გადახვევას არ ანგებდენ.

„— კუდი თყ! მიშოლ დრო გამოვებით.

„— კაცო, ერთი ვიღაც შემოგვემატა მგონი წუხელის... ნეტა ვინაა? გავიგონე მე.

„— ვინმე შენსავით დაკარგული იქნება, აბა გუბერნატორს ხომ არ მოიყვანდენ აქ?—იყო პასუხი.

„— სადა თუ იცი?

„— ამ დროს ვიღაცამ პირდაპირ შემომაჟიტა თვალები, ერთი ამხედ-დამხედა ცნობის-მოყვარეობით, ცოტა შეიჭმუხნად და წაილაპარაკა:

„— ყმაწვილი კი ყოფილა, არც სახე იქვს კი სულის, მარა... კიდევ უნდოდა რაღაც ეტქვა, მაგრამ ამ დროს ვიღაცამ მუჯლუგუნი წაჟკრა და შეუტია:

„— მიშოლ დრო გამოვებით!

„— დაბრუნებისას ყველას გაეგო ჩემი ბინა და მოვალეთაც ეცნენ თავიანთ თავი, ჩემ საკანში შემოეხედნათ, ავეთვალიერებ-ჩავეთვალიერებით და თავიანთი აზრი წარმოეთქვათ ჩემს შესახებ. უმეტესობა ერთი და იმავე აზრის გამოდგა: „კი კაცის სახე არა იქვს!“ ალბათ ძლიერ გაბოროტებული ვჩნდი მაშინ.

„— ვინც მოსულა გაუმარჯოს! შემომახან ერთმა ტუსაღმა, მომცა თათრული საღმი, ერთი ეშმაკურათ თვალები დამიწურუა და მოჟყურცხლა—დარაჯი მისდევდა. მე მიკვირდა თუ რათ არ ანგებდენ ჩემთან ლაპარაკას.

„ხელ ახლა დაწყნარდა ყველაფერი. ტუსაღები თავ. თავიანთ ალაგის დაგზავნეს. მე კი თითქმის დავავიწყდი ყველას, არავინ მოდიოდა. ან რათ მინდოდა, რომც მოსულიყვნე. იყო თუ არა აქ რამე ჩემთვის საჭირო, მაშინ მე არ ვიცოდი, აბა და მათი დანახვა ხომ არ მენატებოდა? მაგრამ მაინც მწყინდა და მაღელვება, რომ ასე ძაღლივით მიმაგდეს. და წავიდენ—თითქოს არც კი ვარსებულიყო ქვეყნაზე. ამ ფიქრმა მე ისე ამაშფოთა, რომ სწრაფათ მივადექი კარებს და ხელი მივარტყო. იმ წუთას ჩემთან დარაჯი გაჩნდა.

„— რა გინდა? დამეკითხა ის.

„— მე რათ არ მიშვებთ გარეთ? მივახალე მე, თუმცა ამიტომ სრულიადაც არ დამიახნია მისთვის.

„— ეს ჩემი საქმე არ არის. გულ გრილათ მომიგო მან და გამშორდა.

„გულმასულმა კიდევ მივარახუნე კარები.

„— შენ რას ხმაურობ? მკაცრათ დამეკითხა დარაჯი.

„— როგორ თუ რას ვხმაურობ. მე გარეთ უნდა გამიშვათ.

„— იქნებ შინაც გსურს წასვლა? გაიცინა მან.

„— მე გარეთ გასვლას ვთხოულობ! დავიყვირე.

„— ეს არ არის ჩემი საქმე.

„— მაშ ვისი?

„— უფროსის.

„— მაშ მიჩვენეთ ის უფროსი.

„უფროსიც მოვიდა, მაგრამ იმან ჩემი თხოვნის პასუხათ ასეთი დარიგებით მომმართა:

„— თუ ჭკვიანათ არ იქნები, კარცერში ჩაგსვამ. ჯერ არც მოსულხარ და ასე მაღალ შენ ვინ გაგიშვებს სასეირნოთ? ვისიც სეირნობა და თავისუფლება უყვარს, ის ჭკუიანათ არის და არც ატუსალებენ.

„— ზოგჯერ მე წინააღმდეგიც მინახავს, სწორეთ იმას ატუსალებენ, ვისაც თავისუფლება უყვარს.

„— პატიოსან კაცებს არ ატუსალებენ, ჩემო კარგო! ღიმილით მითხრა მან და დაუმატა: „ჭკუით იყვაით და უველავერი იქნება, ნახვამდი!“

„— მე მინდოდა კიდევ მეოქვა რალაც, მაგრამ იმის ფეხის ხმა ღა მომეშა.

„ამდენი ფეხზე დგომით დავილალე, ღონე გამომელია და იქვე დავეშვი ცივს იატაკზე. ცივილა მაგრამ არც იმდენათ. ოჯ, რა უბედურათ ვგრძნობდი მაშინ თავს. მე შემიძლი თვლემამ. მთელი ღამე უძინარი ვიყავი და დასუსტებული აგებულობა დასვენებას თხოულობდა... პატარა ხანს უკან მე დავტოვე საპყრობილ მისი მცველებით და უფროსებით, დავტოვე ყველა, ვისი დატოვებაც ასე მენატრებოდა და მივდინდი, მივდინდი. სულის მოთქმა გახშირებული მქონდა, გულს ბარიბანივით გაქონდა ბრახა-ბრუხი, თავი მიბრუოდა, სახეს ალმური ასდიოდა და ცხელი ოფლი წურწურით გაღმოჩეულა, მაგრამ მე მაინც მივდინდი და მივდინდი წინ. მე არავინ მახლდა, მარტო ვიყავი, მაგრამ ვიღაც ჩამედარიყო შიგ, ვიღაც ისეთი, რომელსაც მე ვენდობოდი და ისიც მაიმედებდა:

„— წავიდეთ, წავიდეთ წინ. ნუ გეშინია! არ შეირცხვინ თავი, არ შეშინდე! ლაჩჩებს რა უნდა წინ? ლაჩჩები ყოველთვის უკან არიან! შენ კი წინ ხარ—შენ არ ხარ ლაჩჩი! მაშ გაეწიოთ წინ!“ და ჩემი მივდინდით. მივდინდით, მაგრამ ეხლა მარტო აღარ ვიყავი, ახლა ჩემთან ერთათ მიდიოდა ათასი სხვა, ახლა ათასაირი ხმა მესმოდა, ათასაირი იმედი სხვა და სხვა ენაზე:

„— წინ, წინ ნუ გვეშინია! ლაჩჩები მხოლოდ უკან, ჩემ კი წინ! და მეც დამავიწყდა დალალვა, დამავიწყდა შიში და უუმატე ნაბიჯს.

„— აბა წინ მებო! ისმოდა გარშემო,— წინ მედგრათ, წინ საერთო ძალით! და მედგარმა, გმირულმა სიმღერამ შეანძრია მიღამო, დატრიალდა ჰაერში, მისი ტალღები დააჯახა ერთმანეთს და გუგუნით მოეფინა მთასა და ველს.

„ლმერას უნდოდა,

რომ ქონოდა

ადამიანს სამართალი,

მაგრამ შავმა

ბოროტო ძალმა

ჯვარზე აცა მაცხვარი.

ლმერთს უნდოდა,

კაცებ ქონოდა

ერთობა და სიყვარული,

მაგრამ შავმა,

ბოროტო ძალმა

გამეფა მტრობა, შური.

მაშ წინ ძებო,

წინ გმირებო

ავასრულოთ ღვთისა თქმული,

ქვეყანაზე გავამიფოთ

ერთობა და სიყვარული“!



„ჩემ კი მივდიოდით და მივდიოდით. რალაც ტკბილი, დამათრობელი ერუანტელი მივლიდა ტანში, მე დამათრო ამ საერთო გატაცებამ და ვჩეარობდი, ვჩეარობდი. არ ვიცი სად მივდიოდით, მხოლოდ მივდიოდით კი, მივდიოდით და ეხლა ჩვენთან მიღიოდა ყველავერი, ცაცა და ხმელეთიც, ზღვაც და მდინარეც, იძროდა ყველა ის, რასაც მუდამ უმდინრავოთ ვხედავდი და... მე მოვიხედე უკან და დავინახე, რომ სადღაც შორს, უკან იძროდა რალაც უზარმაზარი ბურთი, დავაკვირდი იმას, ვცდილობდი გამერჩია, დავაკვირდი სახეებს ამ ბურთზე და... დავინახე ის რაც დავტოვე, დავინახე შავი და მრისხან შენობა, დავინახე რკინის კარები, ჩემი საკანი თავის მცველებით... საპყრობილე მოგვდევდა უკან. მე შევტრიალდი და ამხანაგობისთვის მინდოდა მენიშნებია ის, მინდოდა გამეფრთხილებით ისინი, დამეყვირა. მაგრამ ერთი შევარდი ზევით და თვალები გავახილე. ისევ იქ ვიყავ სადაც დამძინოდა, ჩემ წინ ამართულიყო შავი და უხმო კედელი და თითქოს დამცინოდა, თითქოს თავს მიქნევდა და ნიშის მოგებით მიცრდა. მე გიყივით წამოვარდი, ერთი მოვასწარი მერტყა წიხლი კარებისთვის და იქავე გავიშხლართე“.

მოხუცი ცოტა ხანს დაფიქრდა, რალაც ღრმა, მაგრამ პატიოსანი ღრი გადაეკრა იმის ფართე და პატიოსან შებლს, რომელზედაც ახალ ამოკრილი ზღვის გრილი ნიავი ნაზათ ათამაშებდა იმის გძელ-გძელ გაჭალარავებულ ხუჭუჭუ თმას. ზღვა ახლა უფრო ხმაურობდა და ამ ხმაურობას ერთოდა ჩვენი მასპინძლის ტკბილი და სევდიანი ხმა. მან გაიარ-გამოიარა ოთახში, მოუკიდა პაპიროზს ცეცხლი, ამოუშო რამდენჯერმე კვამლი და ფანჯარას გადაადგა. ის დიდხანს ჩასკეროდა შავი ზღვის შეორთან ტალღებს, თითქოს იმის ხმაურობაში უნდა ამოიკოთხოს თავისი წარსულის შავი ამბებიო.

სპირიდონ მცირიშვილი

(შემდეგი იქნება)

ნაწყველები პოლიციური ეკონომიკიდან

(საუბარი მკითხველთან)

V

სამუშაო დღე.

როცა ინგლისის პარლამენტში კამათი იყო სამუშაო დღის შემცირების შესახებ, კაპიტალისტების მოკეთე ორატორები ამტკიცებდენ, რომ სამუშაო დღის შემცირება გარდა იმისა, რომ დასუებ წარმოებას, სამუშაო ქირასაც შეამცირებს, და ამიტომ იგი მავნებელია თვით მუშებისათვისაც. გაამართლა ცხოვრებამ ეს მოსაზრება თუ არა? აი ფაქტებია: \*)

„1859 წელს რობერტ ბეკერმა, რომელიც დიდი ხანი ქარხების ინსპექტორათ იმყოფებოდა, მოახსენა „სოციალურ მეცნიერებათა ასოციაციას“, რომ „თუმცა სამუშაო დღე შემცირდა, მაგრამ სამუშაო ქირამ ზოგან 40% / (ორმოც პარცენტით) მოიმატა, მხოლოდ საყოველთაოთ 12% / -ზე აიშინა“. სამუშაო დღის შემცირებას და სამუშაო ქირას მო-

\* 1) მოვყავს ს. ვებისა და ნ. კოსის თხჩულებიდან: „რვა საათას სამუშაო დღე“.

მატებას არც წარმოებისათვის დაუკლია რამ, ამიტომ ჩვენი ეროვნული აღმოჩინებისათვის სრულიად არაფერს საშიშს არ წარმოადგენს". როცა მასაჩუზეტის შტატში ათი საათის სამუშაო დღე შემოიღეს, „მექარნები და ეკონომისტები ამტკიცებდენ, რომ ამას უთუოდ საყოველთაო გაკოტრება და სიმშილობა მოყვებათ". ედუარდ ადეისონმა... 1880 წელს მასაჩუზეტის მთავრობის მიერ დანიშნული კრმიტეტების წინაშე შემდევი თქვა: „ათი საათის მუშაობამ თვით მუშებს მოუტანა საოცარი ვნება, რადგან ისინი თერთმეტჯერ ნაკლებს მუშაობენ, ვიდრე სხვა ქვეყნის მუშებით". ამის გამო ამ საგნის გამორკვევა მიანდო „შრომის სტატისტიკის ბიუროს". 1881 წელს კარლ რიტმა მოხსენება წარადგინა, რომელშიაც ის ამტკიცებდა: „უკეცველია, მასაჩუზეტში თითო მუშა ათი საათის განმავლობაში იმდენსავე აკეთებს, რამდენსაც სხვაგან, თერთმეტი და ოთომეტი საათის მუშაობით; ისიც ეჭვს გარეშეა, რომ სამუშაო ქარა აქ გაცილებით უფრო დიდია იმ შტატებსაც, სადაც უფრო მეტს მუშაობენ". აქედან ცხადათ მტკიცდება, რომ სამუშაო დღის შემცირებას უთუოდ სამუშაო ქირის მომატებაც მოყვება. ეს ასეც უნდა მოხდეს ყოველთვის და აი რატომ: ვთქვათ, მექარნემ საქონელი ერთი დღის განმავლობაში უნდა დაამზადოს. ამ საქონლის გაკეთებას 90 საათის მუშაობა უნდება. ქარხანაში თუ თხუთმეტი საათის სამუშაო დღე დაწესებული, საქონელს ეჭვსი მუშა დაამზადებს ( $15 \times 6 = 90$ ), ხოლო თუ სამუშაო დღე შემცირებს და თხუთმეტის მაგიერ ათი საათის მუშაობა შემოიღეს, მაშინ ეჭვსი მუშა იღარ იკმარებს; ამ ეჭვსის გარდა მექარნემ კიდევ სამი უნდა დაიკირავოს, რადგან 90 საათის სამუშევარს, თუ დღეში თითო მუშა ათი საათი მუშაობს, 9 კაცი გააკეთებს ( $10 \times 9 = 90$ ); მაშინადამ, სამმა მუშამ, ომელნიც ქარხნის გარეთ უმუშევრათ დახეტიალობდენ, დღეს სამუშაო იშოვნეს. დღემდე თუ მუშები ცირი ქირით მუშაობას არ თანხმდებოდენ, მექარნე ყოველთვის მოიპოვებდა მსურველებს, რადგან უსაქმურ მუშებს სიმშილით სიკვდილს, თუნდაც გაძაღლებული სიცოცხლე ურჩევნიათ, ე. ი. სულ მცირე ქირის ჯერდებიან. ამიტომ უსაქმოთ დარჩენილები მომუშავე მუშებს მეტოქეობას უწევენ, იმავე სამუშაოს ასრულებას დაკლებული ქირით თანხმდებოდენ. ხოლო, რა რომ 15 საათის სამუშაო დღე 10 საათზე დავიდა და უსაქმოთ დარჩენილი სამი მუშა საქმისათვის საჭირო გახდა, მათი მეტოქეობაც მოისპო: მექარნეს აღარ შეუძლია თვის ნებაზე დაუკლოს მუშას ქირა, მას არა აქვს საშუალება მცირე ქირით მომუშავე მოიპოვოს, ამიტომ იგი იძულებული ხდება მუშის მოთხოვნილებისათანავე სამუშაო ქირა ასწიოს. ამნაირათ, ჩასულია დღის შეცირების უთუდ საშემა... ქირას შრმატებაც მოქვება. აქ შეეძლია შემნიშნო, მკითხველო: „ეს მართალია, თუ დღიურათ ან თვიურათ ვმუშაობ. მხოლოდ როცა ნაკრობით ვარ გარიგებული, ე. ი. რამდენ ნაკერ, საქონელს გვაკეთებ, იმდენ ქირასაც ვიღებ, უეკველია, რაც უფრო გრძელია სამუშაო დღე, მეტ ნაკერსაც დავიმუშავებ, მაშინადამ, ქირასაც მეტს ავიღებ". არც ეს არის უეკველი, მეგობარო. აბა აღე იგივე მაგალითი და დააკეირდი: ეჭვსი მუშა გარიგებულია ნაკრობით 90 საათის სამუშევარის გაკეთებას, ე. ი. დღეში თითო მუშა 15 საათს მუშაობს. სამი მუშა, რომელნიც უსაქმობით ქუჩაში მშიერ-მწყურვალი გდიან და როგორმე თავისს გამოსაკვების შოვნას სცდილობენ, მიმართენ ქარხნის პატრონს და ეუბნებიან: მოგვეცი სამუშაო ჩვენ; შენი მუშები თითო ნაკერს მანეთათ გიკეთებენ, ჩვენ ათ შაურათ გაგიკეთებთო. მექარნესაც სწორედ ეს უნდა და ამათ სურვილს დაუყოვნებლივ აცნობებს თავისს მუშებს: გინდათ, აიღეთ ათ-ათ შაურათ, თუ არა, მე სხვა მუშები მყავს, თქვენ კი მიბრძანდითო. ისინი ძალა უნებურათ

თანხმდებიან ახალ პირობებზე და ნახევარ ქირას უღებენ. დღემდე თუ თხუთმეტი საათის მუშაობით სამ ნაკერს აკეთებდენ და სამ მანეთს იღებდენ, დღეიდან იმავე უსტურებულების მუშაობაში მანეთ ნახევარს იღებდნ. ცხრა უსტურებულების მუშაობაში მათვები სამუშაო დღის შემცირდა და 10 საათი გახდა, მაშინ მეტოქე მუშებიც სამუშაოს შოულობენ და ქირის დაკლება მათვების ხელსაყრელი აღარ არის; ამიტომ, აქაც მექარნე იძულებულია ათ საათის მუშაობაში იმდენივე მისცეს, რამდენსაც თხუთმეტ საათში აძლევდა. რა მხრითაც უნდა მოვუაროთ ამ კითხვას ერთს და იმავე დასკვნას მივაღებით: სამუშაო დღის შემცირება სამუშაო ქირის მომატებას მოასწავებას. აი, მაგალითად, ავიღოთ თერდების მუშაობა. მათ სადღესაწაულოთ ყოველთვის მეტი სამუშაო აქვთ; ხეზონის დღის სამუშაო ბლობათ იყრის თავს და მუშა ხელიც მეტია საჭირო; მხოლოდ, მოთვედება რა სეზონი, მუშები უსაქმოთ რჩებიან. აქაც იგივე ითქმის, რაც ზემოთ ვთქვით: თუ ისინი ნაკლებს იმუშავებენ, მაშინ მეტი დღი მოუნდებათ სამუშაოს გასათავებლათ და მუშებსაც უფრო დიღხანს ექნებათ სამუშაო. ამით საზოგადოებასაც არა ევნება რა, რადგან, როცა ეცოდინებათ, რომ საშობაოთ თუ ტანისამოსი ეჭირვებათ უთუოდ ერთი თვით აღრე უნდა მიაბარონ და არა რაოდენიმე დღით წინ, როგორც ეხლა შვრებიან ხოლმე ჩვენში. ამ აზრის დასასაბუთებლათ, ციფრებსაც მოგიყვან, ჩემო მკითხველო. ჩვენში, სადაც უმეტესათ 13—14 საათის სამუშაო დღე თითქმის ათჯერ ნაკლები ეძლევა მუშას, ვიდრე ავსტრალიაში, სადაც უმეტესათ 8 საათი სამუშაო დღეა დაკანონებული. დღეტორ პესკვის \*) გამოკვლევით, მოსკვის ქარხნებში, სადაც მეტს მუშაობდენ მუშები, იქ ნაკლებს იღებდენ; მხოლოდ სადაც უფრო მოკლე სამუშაო დღე შემცირდოთ, იქ სამუშაო ქირაც მეტი იყო. აი ციფრებიც: ათ ქარხანაში, სადაც 15 $\frac{1}{2}$ —15 საათის დღეა, სამუშაო ქირა თვეში 16 მან. და 16 კა. უდრის, ცამეტ ქარხანაში 14 საათის სამუშაო დღეა, ქირა კი 17 მან. და 89 კა.; თოთხმეტ ქარხანაში 13 საათის სამუშაო დღეა, მხოლოდ სამუშაო ქირა კიდევ მეტი; 20 მან. 11 კა.; რვა ქარხანაში მხოლოდ 11 $\frac{1}{2}$ , საათს მუშაობენ, იღებენ თვეში 21 მან, 66 კა. ამნაირათ თხუთხმეტი საათის მუშაობა მუშას იძლევს თვეში 16 მანეთსა და 16 კა., მხოლოდ 11 საათის 21 მან. 66 კა., ე. ი. როცა თხი საათით ნაკლებს მუშაობს, ხუთ მანეთ ნახევარს მეტს იღებს. აი რას გვასწავლის სინამდვილე!

გრძელი საშემარ დღე, გარდა იშისა, უთმ საშემარ ქარას ამცირებს, ფიზიკურ-თაც ცუდა მოქმედებს მუშაზე: არგანაზში უსუსტების, უსახის უსტების, უსახის უსტების, ადრე ასწეულების, ტანჯავს და სიცოცხლეს უმოქმედეს. ამიტომ მუშა ყოველთვის ნაკლებს სცოცხლობს, მოხუცებასაც ვერ ასწრებს, რომ უკვე „სამარისკენ ფეხი გაუშვერია“. გამოანგარიშებულია, რომ მუშა ორჯერ უფრო ნაკლებს სცოცხლობს, ვიდრე მაღალი წრის წარმომადგენელი. \*) ის დღე-ღამე მუშაობით იღალება და კარგავს ორგანიზმის საასტაბილოთ საჭირო ძალას; აღმაინს დახარჯული ძალის აღსაღებენ საჭმელ-სასმელი შესაფერი უნდა ქონდეს, მოსვენება ეჭირვება, წმინდა ჰაერი არებს, მხოლოდ მუშა ამას ყველაფერს მოკლებულია: ნახევრით მუშერი მოსვენებასაც ვერ ასწრებს და ნოტიო, ბინძურ, დახშულ ქარხნის პატრონი ატარებს გაწვალებულათ დროს. ეგებ ეს საჭირო წარმოების ასალორძენი და კარგი არებს, მხოლოდ მუშა გასამდიდრებლათ, ერის გასამდიდრებლათ, გასამდიდრებლათ.

\*) მოგვავს 3. სტრუვეს სტატისტიკიდან: „სამუშაო ქირა“.

იხ. ბროგაუზის ლექსიკონი.

\*) იხ. პელუტიქს: „მუშათა ცხოვოება საფრანგეთში“, გვ. 196.

„პარიზში 10 ათას კაცზე 156 შემცირებული კვდება, მხოლოდ 285 ღარიბი“.

რებლათ, საზოგადოებრივ ცხოვრების გასაუმჯობესებლათ? მაშინ აბა რა გვეთქმის, მეგობარო! ვნახოთ. რასაკირველია, რაც უფრო მეტს მუშაობს აღმიანი, მით უფრო იღლება; ამასაც ხომ დამტკიცება არ ეჭირვება, მკითხველო?!. მხოლოდ დაღალული ყოველთვის უფრო ცუდათ და ზანტათ მუშაობს. დილას, როცა ახალი მიმდგარი ხარ სამუშაოზე, ყოველთვის უფრო ხალისიანათ მუშაობ და ეს მუშაობა ბევრათ ნაყოფიერია: ნამუშევარი უკეთესი ღირსების გამაღდის, რიცხვითაც მეტს დაიმუშავებ, მასალას ნაკლებ ახდენ, ერთი სიტყვით მეტი ყურადღებით და მეტადინებობით მუშაობ. მხოლოდ შუაღლისას ეს ხალისი სუსტდება, საღამოზე დაქანცულობისაგან გინდა როგორმე მაღლ მორჩე საქმეს და ბინისაკენ გაეშურო მოსასვენებლათ. ძილმოკიდებული ოვალებით კარგათ ვერც ხედავ სამუშაოს, დაქანცულის ხელებით ძლივს აბრუნებ მანქანას, ყურადღებას ვეღარ იკრებ, ძალა გვლევა და მუშაობაც ნელა წარმოებს. \*\*) ეს დღეს. ხოლო დღევანდელი აუტანელი შრომით დაქანცული ხვალ უარესი ემართება: უფრო აღრე იღალება, ეკარგება ხალისი მუშაობის, ვერ ახერხებს რაგიანათ მუშაობას; მხოლოდ, თუ ვინმე უფროსის მკაცრი ყვირილი გამოიყვანს ისეთ სიზანტისაგან, ისიც დროებით, რაოდენიმე წამით, მერმე ისევ ზანტათ, უყაირათოთ მუშაობს. სულ სხვაა, როცა სამუშაო დღე მცირეა. როცა სამუშაოთ კარგათ გამოსვენებული მოღიხარ, მეტის-მეტი შრომით არ იქანცები; სამუშაოთ ძალა შეგწევს, თვალყურის დევნება მუყაითათ შეგიძლია, საქმეს ხალისით ეკიდები და ამიტომ ნამუშევარიც კარგი და მეტი გამოდის. არ ფაქტებიც:

გერმანელ კონსომისტს შულცე-გვერნიცს მოყიდვს შემდეგი ციფრები: \*) გერმანიასა და შვეიცარიაში ერთი მუშა ერთი კვირის განმავლობაში აკეთებს 466 იარაღს, \*\*) მუშაობს 12 საათში და ქირათ იღებს 11 შილინგს და 8 პენსს: ინგლისში—9 საათში 706 იარაღს აკეთებს და, ქირათ 16 შილ. 3 3. ეძლევა, ამერიკაში—10 საათში 1200 და იღებს 20 შილ. და 3 3. რას გვეუბნება ეს ციფრები? ისევ იმას, ე. ი. სამუშაო და ნაკლებია, იქ ქირაც მეტია და საჭირებიც მეტია მზადებებია. კიდევ ერთი ფაქტი ინგლისის ცხოვრებიდან: 1814 წ. თითო მუშა, რომელიც კვირაში 80 საათს მუშაობდა 14 შილინგს იღებდა 130,7 იარაღს ამზადებდა; 1832 წ. 72 საათის განმავლობაში 221,2 იარაღს, მხოლოდ 1890 წ. 54<sup>1/2</sup> საათში ერთი ორათ მეტს აკეთებდა: 540 იარაღს. მაშასადამე, ქაჯნის სიმძიდრე იქ უფრო მატებულის, საჭაც შეშა ნაჭაუბის მუშათის და შეცს სამუშაო ქირას იღების. ცხადია საზოგადოებისათვის, ერთი ასაღორძინებლათ, ეროვნული სიმდიდრის შესაქმნელათ, მეტათ საჭირო ყოფილა სამუშაო დღის შემცირება. სამუშაო დღის შემცირება საწარმოვო ძალას მატებს ერს და მით საზოგადო ცხოვრებას აუმჯობესებს. მაშ, ეს საქმე საერთო საქმე ყოფილა, ყველასათვის სასარგებლო და საზრუნვავი. ვნახოთ ვინ ან როგორ ზრუნავდა ამ საერთო საქმისათვის. ჩვენ მხოლოდ ინგლისის ცხოვრებას შევეკითხოთ და იქიდან გავიგოთ ამის პასუხი.

**მე-ХІХ** საუკუნის დასაწყისში, როცა მსხვილი წარმოება ფრთას შლიდა და ძველი წეს-წყობილების ნაშთიც დღითი-დღე ქრებოდა, მწარმოებელი ვერ გამოიკვეულიყო თვისს მდგომარეობაში. ის იტანჯებოდა, წვალობდა, მშიერ-მწყურ-ვალი სიმშილით ქუჩაზე ლევდა სულს და ვერ გაეგო კი ნამ-დვილი მიზეზი თვისი უბედურებისა. ის საჭეს დაექებდა და

\*\*) ამით აისწნება, რომ უბედური შემთხვევები ქარხნებში უმეტესად სალამოზე ხდება, დილას კი ნაკლებია.

<sup>\*)</sup> вб. вбсю: „Крупное производство“.

\*\*) ୦ୟାମୀ—୩ ତୃତୀୟ (ଶର୍ମୀ)।

მომუშავე ქარხნების ირგვლივ უსაქმოთ დახეტიალობდა. 1826 წელს ინგლისში, ასეთი უსაქმოთ მოხეტიალე, მშიერ-მწყურვალი, სასიკვდილოთ გამზადებული, რომელიც მეტად შეადგენდა. „პური ანუ სისხლიო!“ გაიძახოდეს ჭიშტაქებული ნი და შეუბრალებლათ ანადგურებდენ ქარხანა-ზავოდებს, ამ-სხვრევდენ მანქანებს, სწერდენ და გლეჯდენ ყველაფერს, რაც ამ დროს მათ წინ ელობდებოდათ; იტაცებდენ პურს და ყო-ველნაირ სანოვაგეს; სწვავდენ გაოხრებულ მაღაზიებს და მიე-შურებოდენ ახლებისაკენ ისევ ასაოხრებლათ. ულმობელათ ტანჯული ხალხი ულმობელათ იძიებდა შურს ყველაფერზე. საზოგადოება და საზოგადოებრივი დაწესებულებანი მას ეზი-ზლებოდა, ქარხანა-ზავოდები ბრაზს გვრიდა, ირგვლივ ყველა-ფერი ასაოხრებლათ და ასაწიოკებლათ მიეჩნია... სიმშილით ძალა-გამოლეულნი, ბრძოლით დაქანულნი, კანონის სისასტი-კით თავმობეზრებულნი, ადგენენ ცნობილ ხარტიას, რომელიც სულ ექვსი მუხლისაგან შესდგებოდა და მით მიმართავენ კა-ნონშდებლობის წარმომადგენელთ. აი ეს მუხლებიც: 1) მამა-კაცების საყოველთაო არჩევნების უფლება, 2) დახურული კენჭის ყრა, 3) დეპუტატების ასარჩევათ ქონებრივი ცენზის მოსპობა, 4) თანასწორი ამომრჩეველი ოლქები, 5) დეპუტა-ტებისათვის ჯამავირების დანიშვნა და 6) ყოველწლიური პარ-ლაშენტი. ამ ხარტიის მომხრეებს ეწოდა ჩარტისტები. ყველა ეს მუხლები, როგორც ხედავ, მკითხველო, მოითხოვენ პო-ლიტიკურ წყობილების ცვლილებას; ეს იმიტომ, რომ მუშე-ბი დარწმუნებულნი იყვენ, თუ პარლამენტში ფეხი მოვიმა-გრეთ და საქვეყნო საქმეების მართვაში კარგათ ჩავერიეთ, ჩვენ მდგომარეობასაც შევიმსუბუქებთო. მათ არ ქონდათ ჯერ კიდევ საზოგადოებრივი ცხოვრების ნამდვილი ვითარება შეგნებული, ვერ გაეგოთ მიზეზი თავის სიღარიბისა, ერთი სიტყვით ვერ გამორკვეოდენ ახალ სოციალურ პირობებში და ამიტომ სა-კმაო იყო სამრეწველო კრიზისი ცოტათი მიწყნარებულიყო, უმუშევართა რიცხვი ოდნავ შემცირებულიყო, რომ აღელვე-ბას ბოლო მოღებოდა დროებით მაინც და დამფრთხალ საზო-გადოებისაც მოესვენებინა. მხოლოდ ამ მოძრაობამ მიიქცია მთავრობის ყურადღება და 1833 წელს გამოიცა პირველი საქარხნო კანონი, რომლის ძალით ბავშებს 9 წლამდე აღ-კრძალათ ქარხნებში მუშაობა, მხოლოდ 9—12 წლამდე 8 საათზე მეტს ვერ ამუშავებდენ. თუ მუშა 18 წლის არ იყო მას დღეში 12 საათზე მეტი მუშაობის ნება არ ქონდა. ლა-მის მუშაობა ამათ სრულათ აღეკრძალათ. 1844 წელს კი ბავ-შებს ღამით მუშაობა სრულიათ აღეკრძალათ და მათი სამუ-შაო დღე კანონში 7 საათამდე შეამოკლა. ამავე კანონით 18 წლამდე ქალებს ქარხნებში მუშაობის უფლება არ ქონდათ, მხოლოდ 18 წლისას 12 საათს მუშაობა შეეძლო. სამის წლის შემდეგ, 1847 წელს გამოიცა კიდევ უფრო სიყურადღებო კანონი: სამუშაო დღე 10 საათით განისაზღვრა. ამ კანონში დიდი აღიარეთ გამოიწვია საზოგადოებაში: კაპიტალისტები და მათი მოკეთე ეკონომისტები ამტკიცებდენ, რომ წარმოე-ბის საქმეებში კანონმდებლობის ჩარევა წარმოების დაღუპვის მოასწავებსო. აქ სრული თავისუფლება უნდა სუფევდეს: ვინ რამდენიც უნდა, იმუშაოს და როგორი პირობითაც უნდათ, ისეთი პირობით შეეკრან ერთმანერთს. რასაკვირველია, მათ კარგათ ქონდათ წარმოდგენილი, თუ რას მოასწავებდა ასეთი თავისუფლება მუშისათვის; ამ თავისუფლებით ის სწორედ თავისუფლებას კარგავდა და ყურ-მოჭრილი მონა ხდებოდა კაპიტალისტის. ეს უკვე შეიგნეს მუშებმა, უარყვეს ასეთი თა-ვისუფლება და მთავრობაც იძულებული შეიქნა ეს უარყოფა დაეკანონებინა. გამოდგა, რომ სამუშაო დღის შემცირებას სრულიად არ უვნია წარმოებისათვის, წინააღმდეგ, წარმოება შერმე იწყებს საოცრათ ზრდას და წარმატებას. ეს უკვე შეი-

გნეს ოვით მექარხნებმა და ხშირათ ოვითონვე შეამოკლებენ ხოლმე სამუშაო დღეს. მუშები კი ისევ შეერთებულის ძალით განაგრძობენ სამუშაო დღის შემცირებისათვის ბრძოლას; ეს ბრძოლა ონდათან ცნობიერდება და პოლიტიკურათ გამობრძედილი ეროვნის პროლეტარიატი დაუცხრომლათ იმახალებს საბრძოლველ იარაღს. ის ამ მხრით კარგ პირობებშიაც არის, მკითხველო: მას აქვს უფლება ერთათ ოვის მოყრის, რათა ოვის დღიურ ვარამზე, საჭიროებაზე იღაბარაკოს, შეუძლია ამ საჭიროებაზე რაც და როგორც უნდა წეროს, არვის არა აქვს უფლება განუკითხველათ შეეხოს მის პიროვნებას, ერთი სიტყვით, ის ოვისუფალია და ამ ოვისუფლებას ის რიგიანათაც ხმარობს, მომავლისათვის ემზადება. დღეს მისთვის რვა საათის სამუშაო დღე იდეალს აღარ წარმოადგენს. ზოგან, როგორც მაგალითათ ავსტრალიაში, კიდევ მიწვდენ საკუთხით ამ სასურველ მდგომარეობას და თუ დღეს კიდევ იმეორებენ „8 საათის მუშაობა, 8 საათის გართობა, 8 საათის ძილი და 8 შილინგი დღეში“, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ 8 საათი იყოს უკანასკნელი საზღვარი სამუშაო დღის შემცირებისა, სულაც არა! ამით ისინი გამოთქვამენ მხოლოდ ოვის გულის წადილს, საზოგადოთ სამუშაო დღის შემცირების საჭიროებას; ეს მათ საბრძოლველ დევიზთ აქვთ მიჩნეული და ამ დევიზს ეტანება დღეს ეროვნაში და ამერიკაში მუშა ყოველგან, სადაც მას ადამიანური სახე მისცემია, თავისი „მე“ შეუგნია, არსებული პირობები გაუცნია და უკეთესი მომავლისათვის ზრუნვას შესდგომია. ამიტომ 8 საათის სამუშაო დღის ისტორია, მუშათა მოძრაობის ისტორია და პირველის გაცნობა, გაგეაცნობს მეორესაც.

მაშ გადავფურცლოთ აქა-იქ ამ ისტორიის ფურცლები.

### ა. წულუკიძე.

(გაგრძელება იქნება)

„კვალის“ № 30-ში «ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიკისთვის შეცდომით სწერია: „მასალა და იარაღი 18 მან.“. უნდა იყოს: „მასალა და იარაღი 12 მან.“ და ამას ქვევით, ყველგან, სადაც სწერია 18 მან., უნდა იყოს 12 მან. სადაც სწერია 24 მან., უნდა იყოს 18 მ., 21 მ. მაგირ კი 15 მ.

დრ. რედაქტორი  
ნ. ა. ადგენსავა-მესხევავი.

გამოცემელი

ა. მ. თ. წერეთლისა.

## განცხადებანი

გ უ თ ა ი ს ჟ ი

### ს. გ. თ წ ფ უ რ ი ს ა ს

## სამკურნალო მიმღება

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრიც ალ-მასადრე რლდებაზე მფარველობის ქვეშ, 75 საწლია შინაგან, ნერვებისა, საჭირულო, დედათა და ოვალით ავათმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიურ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ერთი ადგილი დღე და ღამეში საჭმელ-სასმელით, მოვლით და წამლობით ელიტები ერთიდან სამ მანეთამდე.

ვარასემვს, 12 დეკემბერს 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლობით  
გამარჯვებული გარე და იქნება შემთხვევითი გარე

## გ ა მ ლ ი ს ი

(გ ა მ ლ ი ს ი)

დისახლისობა ამ სალამოსი ინება და იყისრა უგანათლებულებმა კნეინა თ. გ. გრუზინსკისამ.

ბილეთები იყიდება ქართული თეატრის კასაში.

მიმღება ხელის მოზრის 1904 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი

## „ცნობის ფურცელი“

სურათებით დაგენტებით დაგენტებით რაზე

(წელიწადი შეცხრე)

ფისი გაზეთისა გაგზავნით

კავკასიასა და რუსეთში: 1 წლით საზღვარ-გარეთ: 1 წლით 9 მ., 6 მ., 6 თვით—4 მ., 1 თვ.—50 კ. 6 თვით—5 მ., 1 თვით—90 კ. თვიურ ხელის მომწერს სურათებიანი დამატება არ გაეგზავნება. წლიური ფასი წელიწადი: ხელი—შეცხრისათანავე 4 მან. დანარჩენი 1-ლ მარტის დღე

3 ელ თვიური ფურნალი

## „გ ა მ ლ ი ს ი“

(წელიწადი შეცხრომეტე)

ფ ა ს ი კ უ რ ნ ა დ ი ს ა

კავკასიასა და რუსეთში: 1 წლით საზღვარ-გარეთ: 1 წლით 13 მ., 10 მ., 6 თვით—6, 3 თვ.—3 მ. 6 თვით—7 მ., 3 თვით—5 მან.

ვინც „მთამბეს“ მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურცელი“ უფასო გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარეთ გასაგრავნ ფოსტის ხაზისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის-მომწერისათანავე უნდა იქმნეს შემორინილი.

• წელიური ფასის განაწილება:

პირველად—6 მ. ქალაქ გარეთ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტის დღე—3 მ., 1-ლ აგვისტომდე დანარჩენი. როგორც „ცნობის ფურცელის“, ისე „მოამბის“ მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ პრემიად ყველა ნაწერები

## ს. კ უ რ ნ ა დ ი ს ი

1904 წელს „ცნობის ფურცელის“ დამატებაში დაიწყება ბეჭდვა სურათებისა „საჭართველოს ეტნოგრაფია და კულტურა სურათებში“, დასურათება დაიწყება გურიადან. სურათები იქნება ფოტოგრაფიით გადაღებული და კარანდშით ნახატი ბ. გოგიაშვილის მიერ.

გრძა ამისა „მთამბეს“ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ მოხსენიერებით საყმაწვილო წიგნი სურათებით

(გამოვა ხაზი თვეში ერთხელ)

ოთხივა ზოგი ზეადგენს 250 გვერდს.

წლიური ფასის გარდა ქალაქ გარეთ სურათების მომწერლებში, პრემიის განაწილება, რედაქციის ფოსტის ხაზით 5 კ. უნდა გამოიყენონ.

რედაქტორი უმორჩილესადა სოხუმს ზემოთ აღნიშნულ გამოცემათა დაკვეთის მსურველთ 25 დეკემბრის დაიკვეთონ, რომ კანტორამ მოასწროს ადრესების დამზღვება და არ დააგვიანოს გამოცემათ გზავნა.

რედაქტორი და კანტორი იმყოფება ვანეს და ქართველი № 372. ფოსტის დარღვევი: თიფლის, ვ. რედაქტორი მოამბის ცნობის შემოწმების დამატება გზავნა.